# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 3 თებერვალი, 2011 წელი.

№21 (6632)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

## ხელისუფალნო, უნიკალური კურორტი იყო და... აღარ არის!

SIC!

## აბასთუმანი - დიდი დარდი და დიდი ტკივილი...



7

ნეტავი იმას, ვისაც სამოთხედ თუ ედემის ბაღად წოდებული აბასთუმანი არ უნახავს!

## „ბრწყინვალე განაცხადები“

მერია და „ტენდერი“



რეალურად ვინ დგას ოფიციალურად დეკლარირებული ხელშეკრულების უკან?

3 4

### აღიარება

## მიშაამ მოგვი– ჯოკრა!



9

## ჩვენი მთიანეთი: დღევანდელობა და მერმისი

### ოპოზიცია

## შიმშილის ზღვარზე მყოფ მოსახლეობას თითო ტომარა ფქვილი მაინც დაურიგონ!

2

## არაბთა ამბოხი

5

## თასი მაინც სხვაა

10



ვულოცავთ „არმიელებს!“

### რას წერენ ჩვენზე



## მეჩეთები ეკლესიების სანაცვლოდ

8



## რაც ამერიკელისთვის „კაიფია“, რუსისთვის შემოჭრაა?

ოპოზიცია

# შიმშილის ზღვარზე მყოფ მოსახლეობას თითო ტომარა ფქვილი მაინც დაურიგონ!

## ლეიბორისტები პრეზიდენტს სთხოვენ

**ლეიბორისტული პარტია კიდევ ერთი ახალი სოციალური ინიციატივით გამოვიდა და ხელისუფლებას მოსახლეობისთვის თითო ტომარა ფქვილის დარიგება სთხოვა. გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით ნესტან კირთაძემ სპეციალური განცხადება გააკეთა: „თხოვნით მივმართავთ მიხეილ სააკაშვილს, პრეზიდენტისა და მთავრობის 100-მილიონიანი ფონდებიდან შეიძინოს და შიმშილის ზღვარზე მყოფ საქართველოს მოსახლეობას თითო ტომარა ფქვილი მაინც დაურიგოს“. ლეიბორისიტები ამბობენ, რომ მშიერი გაზაფხულის წინ სოციალურად დაუცველი საქართველოს მოსახლეობა შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშეა, ხოლო ქვეყანა სოციალური აფეთქების ზღვარზე იმყოფება.**

ნესტან კირთაძის თქმით, „მიხეილ სააკაშვილი კვლავ თავის ვირტუალურ სამყაროში იმყოფება და რეალურად ვერ ხედავს სრულიად გაღარიბებულ საქართველოს, სადაც უკანასკნელი მონაცემებით ორ მილიონზე მეტი ადამიანი სიღატაკის ზღვარს მიღმა იმყოფება; სადაც კატასტროფულად იზრდება ფასები სასურსათო პროდუქტებზე, ნავთობზე, სადაც საარსებო მინიმუმად 150 ლარია განსაზღვრული, თუმცა ფაქტობრივად უმრავლესობას ესეც არა აქვს, არათუ ერთი ადამიანისთვის, არამედ ოჯახის გამოსაკვებად“. მიხეილ სააკაშვილს სრულებით არ ეტყობა, რომ მოწყვეტილია რეალობას, პირიქით, ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული ინფლაციის შეუქცევადობა და ამის შესახებ მოსახლეობას ხშირად აფრთხილებს. სანამ ლეიბორისტები თითო ტომარა ფქვილის მოთხოვნას დააყენებდნენ, პრეზიდენტმა უკვე გამოიჩინა ინიციატივა და ყოველი ოჯახისათვის გადასახადების საკომპენსაციოდ 20-ლარიანი ვაუჩერის დარიგება ითხოვა. ჯერ ეს დახმარება არავის მიუღია. თუმცა სავარაუდოდ, დაარიგებენ. მაგრამ რამდენად უშველის ინფლაციას ან 20 ლარი, ან ერთი ტომარა ფქვილი, სხვა საკითხია.



სხვათა შორის, სოციალური მოთხოვნების გამო არაერთხელ გაუკრიტიკებიათ ლეიბორისტები, მაგრამ კირთაძის მტკიცებით, ეს ნამდვილად არ კეთდება პარტიის პიარისთვის. „ხშირად ამგვარი ინიციატივები ფასდება, როგორც მემარცხენე პოპულიზმი, თუმცა მძიმე სოციალურ პირობებზე უკვე საუბრობენ ხელისუფლებაშიც, ამდენად მოსახლეობამ უნდა იგრძნოს მათი მხრიდან დახმარება, უნდა შეეშველონ დამშეულ მოსახლეობას“.

ნესტან კირთაძეს სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია, თუკი ქვეყანაში სოციალური მოტივით გამოსვლები დაიწყება, განსხვავებით ბევრი იმ პოლიტიკოსისგან თუ ანალიტიკოსისგან, რომლებიც ასეთი სახის აქციებს გამორიცხავენ. „არ ვეთანხმები უკანასკნელ ხანს კლიშედ გავრცელებულ მოსაზრებას, თითქოს საქართველოში სოციალური მოტივით არ გამოვა მოსახლეობა. ეს ან უგუნურებით მოსდით ექსპერტებს, ან შეუცნობლად, რადგან მათ არა აქვთ გააზრებული პროცესი, რომელშიც ვიმყოფებით. კერძოდ, სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლა არ ნიშნავს მხოლოდ საკვებ პროდუქტებზე ფასების დაწევის მოთხოვნას, არამედ ამასთან არის დაკავშირებული სახელმწიფოებრიობის საკითხი.



**ამდენად, დაუცველი მოსახლეობიდან მოსალოდნელია ამ მოტივით საყოველთაო საპროტესტო გამოსვლების დაწყება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დავანებოთ თავი ამ ყალბ პატრიოტულ განცდებს, რომ თითქოს მოქალაქეები არ გამოვლენ. ხალხი გამოვა იმიტომ, რომ თუ პოლიტიკოსებისთვის ეს არის რიტორიკის თემა, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის ეს არის მათი და მათი ოჯახების გადარჩენის საკითხი. ჩემი აზრით, საქართველოს სინამდვილისთვის ეს იქნება გარდაუვალი აუცილებლობა“,** — ვარაუდობს ლეიბორისტი.

**თეა მოსია**

ინფორმაცია

## რა ხდება აფხაზეთში?

### კრასნოდარის გუბერნატორი აფინანსებს

**გაგრაში** რუსული სკოლის რეკონსტრუქციას კრასნოდარის მხარე აფინანსებს. სკოლის რეკონსტრუქცია მიმდინარე წელს დასრულდება. ეს განცხადება სოჭში კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრე ტკაჩოვმა აფხაზ სეპარატისტთა ლიდერთან სერგეი ბაღაფშთან შეხვედრისას გააკეთა.

— მიმდინარე წელს დასრულდება რუსული სკოლის რეკონსტრუქცია გაგრაში. იგი აფხაზეთის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო საგანმანათლებლო დაწესებულება იქნება. ჩვენ გვეამაყება ის, რომ ჩვენს კეთილ მეზობლებს ვეხმარებით იმ ობიექტების აღდგენაში, რომლებიც ომის დროს განადგურდნენ, — განაცხადა ტკაჩოვმა.

ამას გარდა, კრასნოდარის მხარის გუბერნატორის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ადლერიდან აფხაზეთში გადასასვლელი ახალი ხიდის აშენებაც იგეგმება.

### აფხაზეთის აღიარება გაგრძელდება?!

**აფხაზეთის** დამოუკიდებლობის აღიარებისკენ მიმართულ სამუშაო პროცესში პროგრესია, აცხადებს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში რუსულ მედიასთან საუბარში.

მისივე თქმით, აფხაზური მხარე ამჟამად მუშაობს ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აფრიკის ქვეყნებთან.

### საზღვარზე ახალი ხიდის მშენებლობა დაიწყება

**რუსი** ტურისტების ნაკადის მოსაზიდად და მათთვის აფხაზეთში მოხვედრის გამარტივებისათვის მიმდინარე წელს საზღვარზე ახალი დიდი ხიდის მშენებლობა დაიწყება. ეს განცხადება აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა



რუსული მედიისათვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

— წელს ტურისტებისთვის აფხაზეთში გადმოსვლის გამარტივებისთვის ახალი ფართო ხიდის მშენებლობა იგეგმება. ამას გარდა, ადლერში მდებარე კაზაკების ბაზარი გაგრის რაიონში გადავა. იქვე შეიქმნება ციტრუსების მიმღები კომპანიაც, — აცხადებს ბაღაფში და აღნიშნავს, რომ, მიმდინარე წელს აფხაზეთში ტურისტული ნაკადი 25 % ით შემცირდა.

„ამის ძირითადი მიზეზი საზღვარია. სიცხეში დგომა საზღვარზე ბავშვებთან ერთად არც ისე სახარბიელოა, ამიტომაც ბევრმა უარი თქვა მეორედ იქ დგომაზე. ამას დამატებული ფასების მაღალი დონე. ჩვენ ამჟამად ამ მიმართულებით ვმუშაობთ და ყველას ვაფრთხილებთ, რომ ფასს არ მოუმატონ. ჩვენ იდენტურობა უნდა შევინარჩუნოთ, — აცხადებს ბაღაფში.

ჯი-ეიჩ-ენი

ფაქტი

# „საქართველოს ფოსტის“ შეძენით 15 კომპანიაა დაინტერესებული

**„საქართველოს ფოსტის“ შეძენით 15 კომპანიაა დაინტერესებული. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ვერა ქობალიას განმარტებით, „საქართველოს ფოსტის“ შეძენის ინტერესი ევროპულმა და აზიურმა მსხვილმა კომპანიებმა დააფიქსირეს.**

„საქართველოს ფოსტის“ პრივატიზაციისთვის სამინისტროში 15 განაცხადი შემოვიდა. „საქართველოს ფოსტით“ დაინტერესებულები არიან დიდი კომპანიები, რომლებიც ევროპაში, ასევე აზიაში ფოსტის განვითარებაში არიან ჩართულები. ეს ფაქტორები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ფოსტის პრივატიზაცია სწორად მოხდეს და ეს მიმართულება გადაეცეს აუცილებლად იმ კომპანიას, რომელსაც აქვს უნარი და იმავდროულად მეტ ადამიანს დაასაქმებს“, — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას ვერა ქობალია. მინისტრის თქმით, სამინისტრო შესულ განაცხადებს ეტაპობრივად განიხილავს.

„ჩვენ ეტაპობრივად და ძალიან დეტალურად განვიხილავთ შემოსულ განაცხადებს. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ 15 განაცხადი შემოვიდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რომელ კომპანიას გადავცემთ „საქართველოს ფოსტას“ — განაცხადა ვერა ქობალიამ.

შეგახსენებთ, რომ 15 იანვარს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, „საქართველოს ფოსტის“ გასხვისებასთან დაკავშირებით, ინტერესთა მიღება შეწყდა.

ობიექტთან დაკავშირებით, ინვესტორთა განაცხადების მიღება სამინისტროს ჯერ კიდევ 2010 წლის 20 დეკემბერს უნდა შეეწყვიტა, თუმცა სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ვადამ 2011 წლის 15 იანვრამდე გადაიწია.




„საქართველოს ფოსტის“ აქციათა 100%-ის მფლობელი სახელმწიფოა და ის ქართულ საფოსტო ბაზარზე მთავარი საფოსტო ოპერატორია. კომპანია ოპერირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით და ფლობს დაახლოებით 87 000 კვ.მ. მიწას და შენობებს საერთო ფართით 100 000 კვ.მ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, კომპანიას აქვს ყველაზე სანდო საფოსტო მომსახურების გაწევის იმიჯი. მისი ოფისები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზეა განლაგებული.

სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ამ მახასიათებლების გათვალისწინებით შპს „საქართველოს ფოსტა“ საუკეთესო ინვესტირების საშუალებას იძლევა.

საქართველოს მთავრობა მზადაა განიხილოს სხვადასხვა შემოთავაზება პოტენციური მყიდველების მხრიდან კომპანიის სამომავლო განვითარების შესახებ.

ჯი-ეიჩ-ენი

დევნილები

# საპროტესტო აქცია პარლამენტთან

**პარლამენტის შენობის წინ დევნილთა მორიგი საპროტესტო აქცია გაიმართა.**

**როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, „ეროვნული საბჭოს“ წევრმა ალექსანდრე შალამბერიძემ განაცხადა, მათი მოთხოვნა უცვლელია — შეწყდეს დევნილების გამოსახლება.**

აქციის ორგანიზატორების განცხადებით, სახელმწიფო დევნილებს რეგიონებში კორპუსის ტიპის ბინას სთავაზობს ყოველგვარი დასაქმების გარეშე, რაც მათთვის მიუღებელია.

„აქ საუბარი არ არის საკუთარ სახლებსა და მიწის ნაკვეთებზე. დევნილებს მხოლოდ კორპუსის ბინებს და 22-ლარიან დახმარებას სთავაზობენ, რაც მათთვის მიუღებელია“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ლაშა ჩხარტიშვილმა და დასძინა, რომ დევნილების პრობლემებს უკვე გამოეხმაურნენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის „ამნესტი ინტერნეიშენალი“ და „ჰუმან რაითს ვოთჩი“.

ჩხარტიშვილის ინფორმაციით, ხელისუფლებამ უკვე 5 000 დევნილის გამოსახლება მოასწრო და მათი დიდი ნაწილი ამჟამად უსახლკაროდაა დარჩენილი.

„რეგიონებში სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ბინებში საცხოვრებლად ძალიან ცოტა ადამიანი მიდის, დაახლოებით 5 პროცენტი“, — აღნიშნა ჩხარტიშვილმა და ხელისუფლებას მოუწოდა, რომ დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართები დედაქალაქის მასშტაბით გამოყოს.

ჯი-ეიჩ-ენი



მერია და „ტენდერი“

— „გამარჯვებულმა კომპანიებმა ბრწყინვალე განაცხადები წარმოადგინეს და სატენდერო კომისიამ არჩევანი სწორედ მათზე შეაჩერა. დამიჯერეთ, თბილისის მერიას ფინანსური სარგებლის მიღების არანაირი ინტერესი არ აქვს — მთავარია, მოსახლეობა კმაყოფილი დარჩეს და გუშინ მომუშავე მძღოლებმაც შეინარჩუნონ სამუშაო ადგილები“, — ასე მიმართა გუშინ თბილისის სატრანსპორტო სამსახურის უფროსმა აკაკი ჯოხაძემ სატრანსპორ-

აკაკი ჯოხაძეს მერაბ შარანგიას შესახებ ინფორმაცია არა აქვს. როგორც ჯოხაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, გამარჯვებული სატრანსპორტო კომპანიები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით არიან დარეგისტრირებულები. რაც შეეხება იმას, რომ საწყის კაპიტალად თითოეულს მხოლოდ 100 ლარი აქვს მითითებული, ჯოხაძემ აღნიშნა, რომ კანონმდებლობის თანახმად

— დიახ, დგას, ყველა კომპანიის უკან ერთი პირი დგას...

— ანუ თქვენ ადასტურებთ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ კომპანიების უკან შარანგია დგას?

— არა, ვთქვი, რომ თითო კომპანიის უკან თითო ადამიანი დგას. ჩვენთვის მთავარია, რომ მძღოლები არ დარჩნენ უსამსახუროდ და მათ კომპანიებმა დაცვის ახალი გარანტიები შესთავაზონ. ამიტომაც

# „ბრწყინვალე განაცხადები“(?!)

## რეალურად ვინ დგას ოფიციალურად დეკლარირებული ხელშეკრულების უკან?



**როსმა აკაკი ჯოხაძემ სატრანსპორტო დარგში დასაქმებულთა პროფკავშირის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს. პროფკავშირების ოფისში სატრანსპორტო კომპანიებსა და ტრანსპორტში დასაქმებულთა პროფკავშირს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.**

კომპანიებმა, რომლებზეც ჯოხაძე საუბრობდა, 2010 წლის დეკემბერში გამოცხადებულ ტენდერში განაცხადი თითქმის ერთდროულად შეიტანეს. შპს „თბილ ლაინი“, შპს „კაპიტალ გრუპი“, შპს „თბილ ქარი“ და შპს „ფაბლი ქარი“ ერთსა და იმავე მისამართზე არიან რეგისტრირებულები და ოთხივეს ერთი და იგივე იურისტი ჰყავს.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოთხივე კომპანიის უკან ერთი პირი დგას, გაზეთმა „რეზონანსმა“ გამოაქვეყნა. „თბილისის მერიის მიერ მგზავრთა გადაყვანის ნებართვის მოსაპოვებლად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიების უკან ბიზნესმენი მერაბ შარანგია დგას...

აუცილებელი არ არის დიდი რაოდენობის თანხის მითითება.

**„თუ გინდათ, 100 ლარი მიუთითეთ და თუ გინდათ, მილიონი. ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ თითოეულმა კომპანიამ საბანკო გარანტიები წარმოადგინა, სულ კი მათ 5 900 000 დოლარის ეკვივალენტი თანხის საბანკო გარანტია ექნებათ წარმოსადგენი, რისთვისაც ერთი თვე აქვთ. მესმის, რომ დღეს სამარშრუტო ხაზებზე მომუშავე მძღოლები შეშფოთებულები არიან, მაგრამ მერწმუნეთ, სატენდერო კომისიის კომპანიებისადმი წარდგენილი უმთავრესი მოთხოვნა სწორედ მათი შემდგომი დასაქმება და სოციალური დაცვის გარანტიის წარმოდგენა იყო“,** — აღნიშნა ჯოხაძემ.

მერაბ შარანგიას შესახებ ინფორმაცია არც ტრანსპორტში დასაქმებულთა პროფკავშირის ხელმძღვანელ ლავრენტი ალანიას აქვს. კითხვაზე, დგას თუ არა გამარჯვებული ოთხი კომპანიის უკან ერთი პირი, ალანიამ უპასუხა:

**გავაფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომ ზედამხედველობა დავაწესოთ. ლოტების განაწილება და მძღოლების ხელახალი განაწილება რომ დაიწყება, ჩვენი წარმომადგენლები აუცილებლად ჩართულები იქნებიან ამ პროცესში“,** — აღნიშნა ალანიამ.

**რა შეიცვლება 2011 წლიდან დედაქალაქში სამარშრუტო ტაქსებთან დაკავშირებით? რა სოციალურ შეღავათებს დააწესებს ქალაქის მერია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანებისთვის? გაძვირდება თუ არა მგზავრობის საფასური?**

გამარჯვებული კომპანიების რწმუნებული პირის, კომპანია „თბილ ლაინის“ წარმომადგენლის დავით ასანიძის თქმით, 2011 წლის ოქტომბრიდან თბილისში ახალ მიკროავტობუსებს თურქეთიდან შემოიყვანენ და დღეს მოძრავი სამარშრუტო ტაქსები ეტაპობრივად შეიცვლება.

**„პირველ ეტაპზე 1200 მიკროავტობუსის შემოყვანას ვგეგმავთ, ცოტა ხანში კიდევ ამდენს, სულ კი 3078 მანქანის შეძენას ვაპირებთ და შედეგად, ქალაქის მიკროავტობუსების პარკი თავიდან ბოლომდე შეიცვლება. ყველაზე ოპტიმალური შემოთავაზება GT Motors-ისგან მივიღეთ, ის არის თურქეთში მდებარე „ფორდის“ ქარხნის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში“,** — განმარტა ასანიძემ.

როგორც გაირკვა, 4 კომპანიის წარმომადგენლებმა ტენდერში გამარჯვებამდე გადაწყვიტეს, მჭიდროდ ეთანამშრომლათ ერთმანეთთან, დაემთხვა ისიც, რომ ოთხივეს ერთი და იგივე იურისტი ჰყავს, ასანიძის განმარტებით, არც ერთი კომპანიის ხელმძღვანელს ასეთი დეტალებისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია:

**„ვიფიქრეთ, თუ ერთობლივად ვიმუშავებდით, გაცილებით გაგვიადვილდებოდა ყველაფერი: თქვენც განსაჯეთ, სად 500 მიკროავტობუსის შემოყვანა და სად 3000-ის... ასეთი რაოდენობის დროს GT Motors-ისგან მნიშვნელოვან შეღავათს მივიღებთ. რაც შეეხება კომპანიების რეგისტრაციის მისამართებს, ამისთვის ყურადღება არც მიგვიქცევია — ჩვენ მაინც არ ვაპირებთ იმ მისამართზე დარჩენას: გადავდივართ სხვა შენობაში, ოთხივე კომპანია ერთ ოფისში მოიყრის თავს, რომ მერიას და მოქალაქეებსაც ჩვენთან ურთიერთობა გაცილებით გაუმარტივდეთ“,** — აღნიშნა დავით ასანიძემ.

სულ კი, ასანიძის განცხადებით, 2012 წლის დაწყებამდე, თბილისში 90 მილიონი ლარის ღირებულების მიკროავტობუსები შემოვა. მისივე თქმით, წარმოუდგენელია, რომ დღეს მომუშავე მძღოლები უსამსახუროდ დარჩნენ.

**„ეს ადამიანები აუცილებლად დასაქმდებიან: თქვენ წარმოიდგინეთ, საიდან უნდა მოვიყვანოთ 3 ათასი კვალიფიციური მძღოლი, ბუნებრივია, რომ ისინი სამსახურს არ დაკარგავენ. თუმცა მოგვიწევს ტესტირების ჩატარება: მიკროავტობუსის მართვა სპეციალური კატეგორიის ქონას საჭიროებს და ჩვენც მძღოლების ცოდნას და გამოცდილებას აუცილებლად შევამოწმებთ, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არათუ შემცირებას, არამედ სამუშაო ადგილების დამატებას ვაპირებთ“,** — განმარტა ასანიძემ.

იხ. 4 გვ.

საყურადღებო ნაშრომი ქართულ-რუსული ურთიერთობების უახლესი ოცი წლის ისტორიის შესახებ:

**გულბაათ რცხილაძე, გიორგი ვეკუა:**

**„რუსეთი და საქართველო: რა ხდება?“**

(ევრაზიის ინსტიტუტის გამოკვლევა, თბილისი, 2010 წ.).




პოლიტოლოგები გულბაათ რცხილაძე და გიორგი ვეკუა თავიანთ ბროშურაში დაწვრილებით აანალიზებენ საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან რუსეთთან ურთიერთობებში დაშვებულ უხეშ შეცდომებსა და განზრახულ პროვოკაციებს. ბროშურა ილუსტრირებულია. თბილისის ფარგლებში მისი შეძენა შეიძლება „მაცნეს“ და „პლანეტა-ფორტეს“ საგაზეთო ჯიხურებში, ისევე როგორც „პარნასის“ წიგნის მაღაზიათა ქსელსა და პეკინის ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზიაში. ბათუმსა და ქუთაისში ევრაზიის ინსტიტუტის აღნიშნული გამოკვლევა „პრეს-ექსპრესის“ სტენდებზე იყიდება. ბროშურის ფასი 50 თეთრია.

ინფორმაცია



### ეკა ბესელიას მაღაროელების უფლებების დაცვა სურს

**ეკა ბესელიას მოძრაობა გაფიცულ მაღაროელებს სოლიდარობას უცხადებს.**

**მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრების“ ლიდერის შეფასებით, მათი მოთხოვნები სამართლიანი და კანონიერია და უმოკლეს დროში უნდა დაკმაყოფილდეს.**

**„სოლიდარობას ვუცხადებთ გაფიცულ მაღაროელებს, რომლებიც ითხოვენ ნორმალური სამუშაო პირობების შექმნას, დაცულ შრომით კონტრაქტებს, ხელფასების გაზრდას მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სირთულისა და სიმძიმის გათვალისწინებით**

**მაღაროელების მოთხოვნა სამართლიანი და კანონიერია და უმოკლეს დროში უნდა დაკმაყოფილდეს, — ნათქვამია ბესელიას მოძრაობის განცხადებაში.**

**ამასთან, ბესელია მზადყოფნას გამოთქვამს მაღაროელებს უფლებადამცველების ჩართვით სამართლებრივი და სამოქალაქო მხარდაჭერა აღმოუჩინოს.**

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

### თინა ბურჯალიანი: შეკითხვები, რომლებსაც რუსეთის მხარის მოწმეებს დავუსვამთ, ადვილად პასუხგასაცემი არ იქნება



**ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში საქართველოს სარჩელთან დაკავშირებით რუსეთის მხარის მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობს.**

**პროცესი გუშინ დაიწყო. დღის განმავლობაში სასამართლო სულ 6 მოწმეს დაკითხავს, რომლებიც მილიციის მაღალჩინოსნები და მიგრაციის სამსახურის თანამშრომლები არიან.**

**აღსანიშნავია, რომ მოწმეებს შეკითხვებს დაუსვამს ქართული მხარეც, რომელიც იუსტიციის მინისტრის მოადგილის თინა ბურჯალიანის განცხადებით, „ძალიან მწვავე იქნება“.**

**„ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა მათ დავუსვათ შეკითხვები და ეს ნამდვილად არ იქნება მარტივი და მათთვის ადვილად პასუხგასაცემი“, — განუცხადა ბურჯალიანმა ჟურნალისტებს.**

**ამასთან, ის დარწმუნებულია, რომ რუს მოწმეებს სასამართლოსთვის ქართული მხარის მიერ მიწოდებული მტკიცებულებების „გაბათილება“ გაუჭირდებათ.**

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო რუსეთის მიერ წარდგენილი მოწმეების დაკითხვას დღეს, 3 თებერვალსაც გააგრძელებს. წინასწარი ინფორმაციით, დღეს 2006 წელს საქართველოში რუსეთის კონსულის დაკითხვა იგეგმება.**

**უკვე 4 თებერვლიდან კი, სასამართლო დამოუკიდებელ ექსპერტებს მოუსმენს.**

### „ქართული დასი“ ლტოლვილთა სამინისტროს 30 მილიონის ლარის გაფლანგვაში ადანაშაულებს

**„ქართული დასი“ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 30 მილიონის ლარის გაფლანგვაში ადანაშაულებს.**

**როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, პარტიის ექსპერტებმა ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ხარჯვითი ნაწილის მონიტორინგი განახორციელეს. „მონიტორინგის დროს მთელი რიგი ფინანსური დარღვევები გამოიკვეთა“, - აღნიშნა ბაღათურიამ.**

**— თავდაპირველად სამინისტროსთან ნორმალურად ვთანამშრომლობდით, თუმცა ბოლოს**



**სულ აიშვეს და ყოველგვარ კონტაქტზე უარი განაცხადეს. ჩვენ ასევე გამოვითხოვეთ კონტროლის პალატის დასკვნა, რომლის მიხედვითაც სუბელიანის უწყებაში 7 მილიონი ლარის ფინანსური დარღვევებია გამოვლენილი, — აღნიშნა ბაღათურიამ.**

**„ქართული დასის“ ინფორმაციით, ამ დრომდე კომპენსაციის მიღებას 1 500 დევნილი კვლავ ელოდება. მათთვის გადასაცემი თანხის ოდენობა 15 მილიონ დოლარს შეადგენს.**

**დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციული და სხვა სამუშაობის შესყიდვებზე დახარჯულია 1 197 300 ლარი, თუმცა ჩატარებულ სამუშაობზე არ არსებობს ხარისხისა და კონტროლის მიღება-ჩაბარების აქტი, რის შედეგადაც დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.**

**— „ქართულ დასში“ მიაჩნიათ, რომ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 30 მილიონამდე ლარი სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ, უკეთეს შემთხვევაში, არამიზნობრივად არის დახარჯული, თუმცა დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას მიაჩნია, რომ არ არის გამორიცხული, აღნიშნული თანხა სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ იყოს მიტაცებული.**

ჯი-ეიჩ-ენი

მერია და „ტენდერი“

# „ბრწყინვალე განაცხადები“(?!)

(მესამე გვერდიდან)

ახალ მიკროავტობუსებში გადახდის ელექტრონული სისტემა დამონტაჟდება, ასევე სატრანსპორტო სამსახურის უფროსის აკაკი ჯოხაძის განმარტებით, ახალ სისტემაზე გადასვლისთანავე სამარშრუტო ტაქსებით გადაადგილებისას სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის ისეთივე შეღავათები დაწესდება, როგორიც მუნიციპალური ტრანსპორტით და მეტროთი სარგებლობისას ვრცელდება. მისივე განმარტებით, არც მგზავრობის საფასურის გაზრდაა დაგეგმილი.

მძღოლებმა დღეს სამუშაო ადგილის შენარჩუნების გარანტია მიიღეს, თუმცა სამარშრუტო ტაქსების სხვადასხვა ხაზზე ლიცენზიის მფლობელები ახალი მიკროავტობუსების შემოსვლისთანავე აღნიშნული ნებართვის გარეშე რჩებიან.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ვაჟა ღლონტმა განუცხადა, წლების განმავლობაში სამი მიმართულებით მოძრავ სამარშრუტო ხაზს და ამდენივე მიკროავტობუსს ფლობდა.

„ახლა ნამდვილად არ ვიცი, რა უნდა ვაკეთო. მართლა ყველა „მარშუტკას“ მოხსნიან?“, — კითხვაზე კითხვით პასუხობს ღლონტი.

ჯოხაძის განმარტებით კი, კერძო პირები ხაზების ლიცენზიას დროებით ფლობდნენ და, შესაბამისად, ახალი მიკროავტობუსების შემოსვლის შემდეგ ისინი ამ ნებართვას უკვე ველარ მიიღებენ.

რამდენად კანონიერად ჩატარდა ტენდერი და ვინ დგას რეალურად ოფიციალურად დეკლარირებული ხელშეკრულების უკან?

საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატის თინა ხიდაშელის თქმით, გარიგების უკან რეალურად ქალაქის მერი გიგი უგულავა დგას.

**„როგორც რამდენიმე დღის წინათ საზოგადოებას ვამცნე, ეს კომპანიები ერთ დღეს არიან დაფუძნებული, მათი წესდებები ერთმანეთის ქსეროასლებია, დოკუმენტებში შეცდომებიც კი ერთი და იგივეა. სასაცილოა, რომ კომპანიები რესტორანში არის რეგისტრირებული, 100-100 ლარია მათი საწესდებო კაპიტალი, განსხვავება უბრალოდ იმ ერთი ადამიანის სახელსა და გვარშია, რომელიც დირექტორად არის მოხსენიებული. საინტერესოა, ასევე, ერთი კომპანიის „კაპიტალ გრუპის“ შემთხვევაც, რომელიც დანარჩენი სამისგან განსხვავებით აგვისტოშია რეგისტრირებული და ორი დამფუძნებელი ჰყავდა, მაგრამ სპეციალურად ამ ტენდერის გამო სწორედ დეკემბერში მოხდა რეორგანიზაცია და ერთი დამფუძნებელი დარჩა. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, როგორ შეიძლება ამხელა სისტემას, რომელშიც ათასობით ადამიანია დასაქმებული და ასიათასობით კი სარგებლობს, ერთ დღეს ჩაჭიდო ხელი და მოინდომო შემოსავლის კიდევ ერთ წყაროდ გადააქციო“,** — განაცხადა თინა ხიდაშელმა და განმარტა, რომ სახელმწიფომ ამ დარგშიც მისდამი ლოიალურად განწყობილი მონოპოლისტი შემოიყვანა.

**„რეალურად ეს მოხდა — გიგი უგულავამ გადაწყვიტა, რომ დედაქალაქში არსებული სატრანსპორტო სისტემა საკუთარ ფინანსურ წყაროდ ექცია და შემოსავლის ერთადერთი წყარო მოესპო იმ წვრილი მეწარმეებისთვის, რომლებიც ამ სამარშრუტო ხაზების ლიცენზიის საფუძველზე და საკუთარი სამარშრუტო ტაქსების გადაადგილების გზით სრულიად კანონიერად შოულობდნენ ფულს. ახლა შემოდის მონოპოლისტი, რომელიც თავად ადგენს ვინ ამუშაოს, ვინ დაასაქმოს ან არ დაასაქმოს — ეს ყველაფერი ტენდერში გამარჯვებული კომპანიების წესდებებში ადეკვატურად არის ასახული.**

**რაც შეეხება იმას, თუ ვინ დგას ამ ყველაფრის უკან, პირადად ჩემთვის, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს არც ერთი ბიზნესმენის გვარსა და სახელს. მათ შეიძლება უკვე შეაწერეს ან მომავალში შეაწერონ ფული. ამ ყველაფრის უკან დგას გიგი უგულავა, რომელმაც მონოპოლისტი გააჩინა ამ სფეროში და უნდა ფული მიიღოს, როგორც თავის დროზე „თბილისის წყალთან“ და სხვა კომპანიებთან დაკავშირებით გააკეთა“,** — აღნიშნა ხიდაშელმა.

ხიდაშელს საკუთარი ვარაუდის სიმართლეში ეჭვი არ ეპარება და ამის განსამტკიცებლად რამდენიმე არგუმენტი მოიყვანა:

**„შეუძლებელია ვინმე შემეკამათოს... მაშინ, როცა 14 და 17 დეკემბერს ფუძნდება კომპანიები და ერთადერთი, რასაც ისინი აკეთებენ, თბილისის სატრანსპორტო ტენდერში მონაწილეობაა, ეს უკვე შეფასება კი არ არის, ეს ფაქტის კონსტატაციაა — ყველა კომპანია ერთდროულად ფუძნდება, ერთ ნოტარიუსთან ფორმდებიან, ხუთი წუთის სხვაობით შეაქვთ საბუთები საჯარო რეესტრში, ერთსა და იმავე ბანკში, ერთსა და იმავე ოპერატორთან იხდიან მოსაკრებლის ფულს, ეს ყველაფერი სასაცილოა. ვინ დაიჯერებს, რომ ამ კომპანიების უკან ერთი ადამიანი არ დგას და მათ უბრალოდ სხვადასხვა სახელი ჰქვიათ? თავისუფალი კონკურენციის პირობებში მსგავსი რამ არ ხდება“,** — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მალხაზ ჭკადუა.

„ინტერპრესნიუსი“



ჩვენ და სამეზობლო

# სამი ქვეყნის გამაერთიანებელი გზა

**საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო დროს მიმდინარე ახალი სარკინიგზო მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია ბაქო-თბილისი-ყარსის მიმართულებით მაგისტრალის გაყვანა-რეაბილიტაცია. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ამ სარკინიგზო ხაზის საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობასა და ექსპლუატაციაში გაშვებას, დამატებით დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარი, შესაძლოა გაცილებით მეტი დასჭირდეს.**

ახლახან ცნობილი გახდა, რომ დამატებითი თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით ქართული მხარე აზერბაიჯანულ მხარესთან ერთად ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, თუ რა მოცულობის კრედიტს გამოუყოფს აზერბაიჯანი საქართველოს. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა და აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრმა ზია მამედოვმა შესაბამისი კონსულტაციები რამდენიმე დღის წინათ თბილისში ჩაატარეს. კონკრეტულად კი მთავარი თემა, როგორც ჩანს, საპროცენტო განაკვეთის „გადახედვა“ იყო და, ბატონი ზია მამედოვის თქმით, როცა ამის შესახებ გადაწყვეტილება იქნება მიღებული, აუცილებლად „შეგვატყობინებენ“.



თუ რა „გადახედვაზეა“ ლაპარაკი, ეს ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუკი აზერბაიჯანელი მინისტრის მანამდე თქმული ერთ ფრაზას გაგაცნობთ: **„მიმაჩნია, რომ ეს არის ბუნებრივი პროცესი, რადგანაც ცხოვრება იცვლება, ასევე იცვლება შეღავათები და საკრედიტო ურთიერთობები“.** ჰოდა, ამის გათვალისწინებით, რა ძნელი მისახვედრია, რომ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ერთი მიმართლებით მიმდინარეობდეს — საქართველოსთვის აზერბაიჯანული საკრედიტო რესურსების გაძვირების თაობაზე, რაც ჩვენი სახელმწიფოსთვის, რომელიც ისედაც იხრჩობა საგარეო ვალების მორევში, კიდევ ერთი რთული შესასრულებელი პირობის წამოკიდებას ნიშნავს. **ამასთან დაკავშირებით მხოლოდ იმის იმედის გამოთქმაა შესაძლებელი, რომ იმათ, ვისაც თუნდაც თანამდებობიდან გამომდინარე ეკუთვნის საქართველოს ინტერესების დაცვა, კარგად აქვთ აწონილ-დაწონილი აღნიშნული პროექტის განხორციელების შემთხვევაში ჩვენი მოსათვლელი პლუსებიც და მინუსებიც.**

— საქართველოში ვიზიტის მიზანია ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის დეტალების განხილვა, რომელსაც უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, — განაცხადა აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრმა ზია მამედოვმა. — აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფოთა მეთაურები დიდ ყურადღებას აქცევენ ამ პროექტსა და მის ბიუჯეტს. ამჟამად, ჩვენი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, პროექტის წლევანდელ ბიუჯეტს განვიხილავთ, უკვე დამტკიცებული 200 მილიონი დოლარიდან აზერბაიჯანის მთავრობა წელს 100 მილიონ დოლარს გამოყოფს, — დაძინა ბატონმა მამედოვმა.

— ახალი საერთაშორისო სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რომელიც მარაბდა-კარწახის მონაკვეთზე ბოლო დროს კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, — აღნიშნა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა. — ამჟამად ტექნიკური საკითხები განვიხილეთ და სამომავლო გეგმებიც დავსახეთ, რადგან 2012 წელი ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის დასრულების დასახული ვადაა, — თქვა მინისტრმა.

თავდაპირველად ერთმანეთს საქართველოსა და აზერბაიჯანის მხარეები შეხვდნენ, მოგვიანებით კი მათ თურქეთის დელეგაცია შეუერთდა, რა დროსაც ბაქო-თბილისი-ყარსის მაგისტრალის ახალქალაქი-ყარსის სარკინიგზო მონაკვეთის რეაბილიტაცია-მშენებლობის, საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე ოთხკილომეტრიანი გვირაბის გაყვანის, რომლის ნახევარი საქართველოს ტერიტორიაზე, მეორე კი თურქეთის ტერიტორიაზე იქნება, აგრეთვე ორ ქვეყანას შორის საზღვრის გადაკვეთისას სასაზღვრო და საბაჟო პროცედურების გამარტივების საკითხები განიხილეს და მშენებლობის დასრულების შემდგომ ურთიერთობის გეგმები დასახეს.

ოთარ ტურაზელიძე

ინფორმაცია თემაში

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის საქართველოს ტერიტორიაზე მონაკვეთის მშენებლობაზე აზერბაიჯანის მთავრობამ რამდენიმე წლის წინათ 200 მილიონი დოლარი გამოყო, რომელთაგან 100 მილიონი დოლარი უკვე ათვისებულია. ამასთან ცნობილია, რომ პროექტის ფარგლებში, ქ. ახალქალაქში ახალი სადგური აშენდება, რასაც საკმაოდ სოლიდური დაფინანსება დასჭირდება.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მარაბდა-თეთრიწყარო-წალკა-ახალქალაქი-კარწახის საქართველოს მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს. რეაბილიტაცია უტარდება საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზის 150-კილომეტრიან მონაკვეთს, რომელზეც ცხრა სადგურის განახლებაა დაგეგმილი. ახალქალაქი-კარწახის 25-კილომეტრიან მონაკვეთზე გაიყვანენ ახალ სარკინიგზო ხაზს, ამავე მონაკვეთზე ასევე ორ ახალ სადგურსა და ოთხ ხიდს ააგებენ.

საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე გამავალი სარკინიგზო მაგისტრალის მთლიანი სიგრძეა 245 კილომეტრი, რომელთაგან 175 კილომეტრი საქართველოს ტერიტორიაზე, 70 კილომეტრი კი თურქეთის ტერიტორიაზე გაივლის.

ინფორმაცია

## გერმანიაში ავარიის შედეგად დაშავებული საქართველოს მოქალაქეები საავადმყოფოში რჩებიან

— ქართველები თავს უკეთ გრძნობენ და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, — განუცხადა ჟურნალისტებს გერმანიაში საქართველოს კონსულმა ლაშა გიგაშვილმა.

დიპლომატის ინფორმაციით, გერმანიაში საქართველოს მოქალაქეები პირადი ვიზიტით იმყოფებოდნენ.

ჯი-ეიჩ-ენი



გლობუსი

# არაბთა ამბოხი

**არც ბომბი აფეთქებულა და არც ქარიზმატულ ლიდერს ნელსონ მანდელას, ვაცლავ ჰაველს, ლეხ ვალესას მსგავსს არ დაურაზმავს ხალხი „საყვარელი ხელისუფლების“ წინააღმდეგ. პირველ არაბულ რევოლუციას ცეცხლი შეუნთო პატარა ტუნისური ქალაქის პოლიციელის გადაწყვეტილებამ, გაელახა ხილით მოვაჭრე ახალგაზრდა კაცი. ტრივიალური შემთხვევაა, მაგრამ 2011 წელია —ახალი საუკუნის მეორე დეკადის დასაწყისი. ძნელია წინასწარმეტყველება იმისა, თუ როგორ განვითარდება მსოფლიო, რა დამოკიდებულება იქნება ქვეყნის მმართველებსა და ხალხს შორის, შეძლებს თუ არა მმართველი ელიტა მართულებთან საერთო ენის გამოძებნას. ახალი საუკუნის პირველი დეკადის ფერად-ყვავილოვანმა რევოლუციებმა საქართველოში, ყირგიზეთში, უკრაინაში, სხვაგან, შეახსენა მსოფლიო საზოგადოებას, რომ ასეთს, არაერთხელ ექნება ადგილი, ვინაიდან მმართველთა მიერ ნაბოძები „დემოკრატია“ ისეთივე მანძილზეა ამ სიტყვის არსიდან, როგორც ცა — დედამიწისგან.**

ხალხის მოთხოვნების მარტივი დასაკმაყოფილებელი დევიზი — პური და სანახაობა აღარ აკმაყოფილებს ინტერნეტის ეპოქის საზოგადოებას. ნორმალური არსებობისათვის პურის გარდა სხვაც აუცილებელია, მაგრამ სურს ამ აზრის გაზიარება მმართველ ელიტას? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს უამრავი ქვეყნის პოლიტიკური ელიტა ისევ გუშინდელის, მოძველებულის, თანამედროვეობისთვის შეუფერებლის — პურის და სანახაობის მომხრეა. მეტის გაღება მას არ სურს. უფრო მეტიც, რასაც ის იღებს, სააკაშვილის არ იყოს, უკიდეგანოდ მიაჩნია.

ტუნისელი ბენ ალის რეჟიმი დასავლეთის მიერ პროგრესულ მოდელადაც იყო შეფასებული, მან ჩამოაყალიბა ტუნისის განათლების სისტემა, დაიცვა ქალის უფლებები, შეუტია რადიკალურ ისლამს. ტუნისს, მეზობელი არაბული ქვეყნებისგან განსხვავებით, აქვს 16 წლამდე სავალდებულო უფასო განათლების სისტემა. სკოლადამთავრებულთა ერთი მესამედი სწავლას აგრძელებს უნივერსიტეტებში. დასავლელთა შეფასებით, მეზობლებთან შედარებით ტუნისი მიიჩნეოდა თავისუფალ ქვეყნად. ტუნისის ქუჩებში უცხო არ იყო თავშალგარეშე ქალის გამოჩენა.

10,5-მილიონიანი ტუნისი ნაკლებად არის დაჯილდოებული ისეთი წიაღისეული სიმდიდრეებით, როგორებიცაა ნავთობი და გაზი. ბენ ალიმ ტუნისის ტურიზმის განვითარებას მიჰყო ხელი. და ხმელთაშუა ზღვის ტუნისის სანაპირო დაიფარა სუპერ ბიკინიანი ევროპელი ლამაზმანებით. **უამრავი უცხოელი ტურისტი მიაწყდა ტუნისის უნიკალურ ღირსშესანიშნაობებს, — კართაგენს, რომაული იმპერიის ხუროთმოძღვრების ძეგლებს. ქვეყნის ეკონომიკურმა ყოველწლიურმა ზრდამ ხუთპროცენტიან მაჩვენებელს მიაღწია. ერთ სულ მოსახლეზე წლიურმა შემოსავალმა 18.000 დოლარი შეადგინა, ჩრდილოეთ აფრიკის ყველაზე მაღალი აღნიშნული მიღწევების სანაცვლოდ, ტუნისის მმართველი საკუთარი ხალხის მორჩილებას ითხოვდა — თვალის დახუჭვას ოპოზიციის შევიწროებაზე, მასმედიის დათრგუნვაზე. მას მიაჩნდა, რომ მმართველ ოჯახს სრული თავისუფლება უნდა ჰქონოდა ეკონომიკური ტორტის დიდი ნაჭრების მიღებაში. დანარჩენი აფრიკის მშიერ მოსახლეობასთან შეფარდებით, ტუნისური გაყოფა სამართლიანადაც ჩანდა. ბენ ალის ტუნისი მჭიდრო მხარდაჭერას პოვებდა დასავლელი პარტნიორების მხრიდან. უპირველეს ყოვლისა, სფრანგეთიდან და აშშ-დან. ვაშინგტონი კმაყოფილი იყო რადიკალური ისლამისა და ალ კაიდას წინააღმდეგ მებრძოლი ბენ ალით, სწორედ იმ ბენ ალით ვინც უსისხლო გადატრიალებით 1987 წელს ხელთ იგდო ძალაუფლება. ტუნისი გაიფურჩქნება — ასეთი იყო პრეზიდენტის დაპირება. და მართლაც — ის გაიფურჩქნა. ტუნისის მოსახლეობის 80 პროცენტი ფლობს საკუთარ სახლს, ბინას. ანალოგიური მაჩვენებლით ის ევროპას უტოლდება. ტუნისში უხვად არის ტრანსნაციონალური კომპანიები — მაიკროსოფტი, ლორიალი, სხვები. 2007 წლის მონაცემებით მსოფლიოს ბანკმა და მსოფლიოს ეკონომიკურმა ფორუმმა ტუნისის ეკონომიკა აფრიკაში საუკეთესოდ მიიჩნია და მესამედ, არაბულ ქვეყნებში.**



მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა ტუნისს. 2008 წლიდან დაწყებული წინა წლების წარმატებებმა კლება იწყო. შემცირდა სამუშაო ადგილებიც. ბენ ალის ნაქებმა განათლების სისტემამ ათასობით ახალგაზრდა გამოუშვა, მაგრამ მათი დასაქმება წარმოუდგენელი შეიქმნა. ოფიციალური მონაცემებით ახალგაზრდათა 25 პროცენტი დაუსაქმებელია. მათ თავის გადასარჩენი ერთადერთი გზა დარჩათ — ევროპაში გამგზავრება, მაგრამ ევროკავშირის მიერ მიგრაციის შესაზღუდი კანონმდებლობის მიღების შემდეგ ამის გაკეთება შეუძლებელი ხდება. განვითარებული ევროპის სამუშაო ბაზარი კარგა ხანია შეავსეს პოლონელებმა, რუმინელებმა, სხვა აღმოსავლეთ ევროპელებმა. სწორედ ისინი იკავებენ დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს, იმას, რასაც ადრე არაბები, მათ შორის ტუნისელები. ევროკავშირის საზღვრების დაკეტვამ ტუნისელები ფაქტიურად ხაფანგში მოაქცია. მათ, ბრძოლის გარდა სხვა არჩევანი აღარ დარჩათ. უმუშევარი ტუნისელი ახალგაზრდები პროფესიონალურ განთლებას დაუფლებული, შესანიშნავად ერკვევიან ინტერნეტის სიკეთეებში. მათი მოტყუება გაცილებით ძნელია, ვიდრე წინამორბედთა. მიღებულმა ინფორმაციამ მწყობრიდან გამოიყვანა ისინი. მათ ვერ აიტანეს მმართველი ოჯახის სიხარბე, კორუმპირებულობა. განსაკუთრებული აღშფოთების ობიექტად იქცა პრეზიდენტის მეორე ცოლი, პირველი ლედი, ლეილა ტრაბელსი. ყოფილმა ქალთა დალაქმა აურაცხელი ქონება იგდო ხელთ — ბანკები, სასტუმროები, ქონების მართვის და განვითარების ფირმა, ორი უმსხვილესი საგამომცემლო კომპანია. ავტომანქანების პორშეს, ფოლკსვაგენის, კიას, ალფა რომეოს, დისტრიბუციის სამსახური ბენ ალის სიძემ ჩაიგდო ხელთ. აღნიშნული პირის ფართო ცხოვრების, საერთოდ, მმართველი ოჯახის ჭარბი ფუფუნების შესახებ, აღინიშნა კიდევაც ტუნისში აშშ-ის ელჩის მიერ სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გაგზავნილ წერილში, რაც ფართო სამსჯავროზე იყო გამოტანილი ვიკილიკსის მიერ. **ელჩი აღწერდა ახალგაზრდა ყოვლისშემძლის მიერ მოწყობილ სადილს, რომელსაც ამშვენებდა მასპინძლის პირადი თვითმფრინავით სან ტროეზიიდან ჩამოტანილი ნაყინი და გაყინული იოგურტი. სიძეს, უდე ჰუსეინივით (სადამის შვილი) სახლში, ჰყავს ვეფხვი. ვიკილიკსში გამოქვეყნებულმა დეტალებმა ტუნისელი უმუშევარი ახალგაზრდების აღშფოთებას ნავთი დაასხა. მუჰამედ ბოუაზიზის საქციელი მათთვის აჯანყების დაწყების სიგნალად იქცა.**

პოლიციელის მიერ გალახული, ბოუაზიზი ადგილობრივ მმართველობას მიმართავს, მაგრამ სიმართლის მაძიებარი ახალ შეურაცხყოფას ღებულობს, რის შემდეგაც პროტესტის ნიშნად თავს იწვავს. ტელეკომპანია „ალ ჯაზირა“ ფართო სიუჟეტს უძღვნის საზარელ ამბავს, რაც საწინდარი ხდება ტუნისელი ახალგაზრდების საპროტესტო გამოსვლების დაწყებისა.

ხელისუფლება-ახალგაზრდების შეტაკებას 100-ზე მეტი პროტესტანტის სიცოცხლე შეეწირა, მაგრამ პრეზიდენტმა ვერ შეძლო აზვირთებული ტალღის შეჩერება. მან თავის ოჯახთან ერთად პარიზს მიაკითხა. მეგობარი საფრანგეთი ამჯერად უხერხული მასპინძელი გამოდგა, ასევე უხერხული, დაუპატიჟებელი სტუმრის მიმართ. პარიზის დისნეილენდთან არსებულ სასტუმროში ხანმოკლე ყოფნის შემდეგ ბენ ალი და მისი ოჯახი, იძულებული შეიქმნა პარიზი დაეტოვებინა და საუდის არაბეთისთვის მიეკითხა. ტუნისის დროებითმა ხელისუფლებამ უკვე აღძრა საქმე გაქცეული პრეზიდენტის წინააღმდეგ და მიმართა ინტერპოლს დახმარებისთვის.

რაც არ უნდა მოხდეს არაბულ სამყაროში — ტუნისი ისტორიაში დარჩება, როგორც არაბული რევოლუციის პიონერი. არაბული ქვეყნებისთვის რევოლუციები უცხო ხილია. ამ ქვეყნებს არც დემოკრატიული ტენდენციები შეხებია და არც ეკონომიკური გარდაქმნები. არაბული ქვეყნები ავტორიტარული ლიდერებით ან მონარქებით იმართება. სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება სამხედრო ძალასა და პოლიციურ რეჟიმს ეფუძნება. ეკონომიკა ნათესავებშია განაწილებული. მაგალითად ბენ ალის მეორე ცოლს 10 ძმა ჰყავს, რომლებიც მართავდნენ ტუნისის ეკონომიკას.

მუჰამედ ბოუაზიზის თავგანწირვამ აღაფრთოვანა არა მარტო ტუნისელი ახალგაზრდები, არამედ ალჟირელი, იემენელი, ეგვიპტელი, მავრიტანელი, იორდანელი თანატოლები. იორდანიამ, ეგვიპტემ, იემენმა სასწრაფოდ შეამცირა ფასები ბენზინზე, საკვებზე, მაგრამ, როგორც ჩანს, დაგვიანებით, განსაკუთრებით ეგვიპტისათვის. პრეზიდენტ მუბარაქის 30-წლიანმა რეჟიმმა, მძიმე სოციალურმა პირობებმა, ელიტარულმა კორუფციამ, უმუშევრობამ და რაც მთავარია, პრეზიდენტის სურვილმა, მონაწილეობა მიელო საპრეზიდენტო არჩევნებში, საპროტესტო დუღილი გამოიწვია ხალხში. უკვე მერამდენე დღეა კაიროსა და სხვა ქალაქებში ადგილი აქვს საპროტესტო გამოსვლებს ერთი მოთხოვნით — წავიდეს პრეზიდენტი.

80 მილიონიანი ეგვიპტე და მისი პრეზიდენტი ლიდერის როლს ასრულებს არაბულ ქვეყნებში. ეგვიპტე აშშ-ის პარტნიორია და აქტიურადაა ჩართული ისრაელ-პალესტინის საკითხის მოწესრიგების საქმეში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ის არადემოკრატიული ვითარება, რაც ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა არაბულ ქვეყნებში გარკვეულწილად აშშ-სა და ევროპის ეგოისტური პოლიტიკის ბრალია. მთავარია იყო აშშ-ის ძაღლიშვილი, სხვას მნიშვნელობა არა აქვს. პრეზიდენტ ობამას, ევროპელი ლიდერების მერკელის, სარკოზის, კამერონის განცხადებებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მუბარაქმა ხალხის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს ძალა და უნდა გაატაროს ხალხის მოთხოვნიდან გამომდინარე რეფორმები. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მათ გულში სჯერათ, რომ მუბარაქი ამის გამკეთებელი არ არის, თუმცა არც ერთ მათგანს არ ურჩევია მუბარაქისთვის გადადგომა, არადა მუბარაქის სიჯიუტეს ხალხი ეწირება, ინგრევა და იწვის სახლები, ნადგურდება ქვეყნის ეკონომიკა.

**არაბული ქვეყნების პრობლემები სხვა ქვეყნებისთვისაც ნაცნობია, მათ შორის საქართველოსთვის, ოღონდ აქ ახალგაზრდობა შორს არის პოლიტიკისგან. მას უფრო წუთიერი ტკბობის მატლი აქვს შემჯდარი. მისი ინდიფერენტიზმი ხელისუფალთა მარადიულობის საწინდარია.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

დედაქალაქი

# ეშველათ თემქელებს და ეს არის!



სხვებზე უკეთ, ნამდვილად გლდანელებმა და ნაძალადევლებმა იცოდნენ, თუ რა საწვალებელი იყო რაიონის გამგეობაში საჭირო საქმეზე მისვლა, იქამდე მისაღწევად დახარჯულ დროზე რომ არაფერი ვთქვათ, რადგან ეს დაწესებულება თემქაში მეტად ძნელად მისადგომ ადგილას იყო განთავსებული.

არა მარტო ნაძალადევლებს, თემქელებსაც კი გამგეობამდე მისასვლელად ხშირად ორი ტრანსპორტის გამოცვლა უწევდათ, რაც, განსაკუთრებით პენსიონერებისთვის, ზოგადად ასაკოვანი ხალხისთვის იყო ძნელი ასატანი როგორც ფიზიკურად, ისე მატერიალურად. თებერვლის დადგომისთანავე კი გლდანი-ნაძალადევის მცხოვრებლებმა, მართალია ოდნავ დაგვიანებით, სასიამოვნო საჩუქარი მიიღეს — რაიონს მოწყვეტილ მთა ადგილიდან გამგეობამ ახალი ბინა მეტროს სადგურ „სარაჯიშვილთან“ დაახლოებით 50 მეტრის მოშორებით დაიდო, ქერჩისა და სარაჯიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, რაც მისადგომად შეუდარებლად მოსახერხებელია.

ცალკე აღსანიშნავია, რომ გლდანი-ნაძალადევის გამგეობის ახალ შენობაში ასევე განთავსდა თბილისის მერიის საქალაქო სამსახური, სადაც მერიაში გადასაგზავნ საჩივრებსა და სხვა სახეობის განცხადებებს მიიღებენ ისე რომ, თბილისის მერიაში მისვლა არ დასჭირდებათ, თანაც პასუხსაც ადგილზე მიიღებენ. გამგეობის შენობაშივე განთავსდნენ სამხედრო კომისარიატი და დედაქალაქის მერიის ზედამხედველობის სამსახური.



**დალი ხუნდაძე**
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტოები.

ღვაწლი

# ფიზიოლოგიური მეცნიერების უშეღავათო სამსახურში



## პროფესორი ნოდარ მითაგვარია - 70

**დაბერებისთვის მოუცლელად, მუდამ ყმაწვილკაცის ჟანით შემართულმა, ხალისიანად და მსუბუქად შეაბიჯა ნოდარ მითაგვარიამ ცხოვრების მერვე ათეულში. აქედან თითქმის ორმოცდაათი წელიწადი ნიჭითა და მკვლევარის ოსტატობით ეპაექრა ბიოლოგიური სიცოცხლის უნატიფესი განმსაზღვრელის — ნერვული მოქმედებისა და სისხლის მიმოქცევის რეგულაციის პასუხგაუცემელ საიდუმლოებას. მრავალი გამარჯვება იზეიმა, რის გამოც ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ივ.ბერიტაშვილის პრემიის ლაურეატმა, სიცოცხლის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის თავის ტვინის სისხლის მიმოქცევისა და მეტაბოლიზმის განყოფილების ხელმძღვანელმა ნოდარ მითაგვარიამ ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ნეირომეცნიერთა ფართო წრეებში თვალსაჩინო მეცნიერისა და უბადლო ფიზიოლოგ-ექსპერიმენტატორის სახელი მოიხვეჭა.**

პროფესორ ნოდარ მითაგვარიას შემოქმედებითი გზა დაიწყო ქართული ბიოსამედიცინო მეცნიერების იმ ვარსკვლავიან პერიოდში, როდესაც ფიზიოლოგიის მსოფლიო პატრიარქის ტახტზე იჯდა დიდი ივანე ბერიტაშვილი, მის პირმშო ფიზიოლოგიის ინსტიტუტში კი ბრწყინვალე მეცნიერთა რამდენიმე თაობის მიერ გაჩაღებული შემოქმედებითი წვის ატმოსფერო სუფევდა.

ამის შედეგი გამოდგა ის, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახლად შექმნილი გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის დიპლომის მფლობელმა ჯერ კიდევ საასპირანტო წრთობის ხანაში, მიზანდასახულად დაადასტურა ფრიად ღირსშესანიშნავი კანონზომიერება — იმ დროიდან დღემდე ბატონ ნოდარის მეცნიერული შემოქმედების პრეცედენტი დამაჯერებლად ამტკიცებს იმ დებულებას, რომ გამოჩენილ ფიზიოლოგთა მიღწევების მოპოვება ბიოლოგისა და ექიმის გარდა შეიძლება ხელეწიფებოდეს არა მარტო ფიზიკოსს, ქიმიკოსს, ფსიქოლოგს ან საბუნებისმეტყველო განათლების მქონე სხვა სპეციალისტს, არამედ ინფორმატიკის ინჟინერსაც, თუ მას აღმოაჩნდება უნივერსალური ინტელექტუალური ალღო, შეაფასოს ფიზიოლოგიური პრობლემები ინფორმაციული სისტემების მოძღვრების თვალსაზრისით. შესაძლოა, აღნიშნული ფაქტი ბატონ ნოდარის ინტელექტუალური პორტრეტის და სწავლულის ღირსებათა სპექტრში საგანგებო აქცენტს არც იმსახურებდეს, რომ არა მის მთელ სამეცნიერო შემოქმედებაში წითელ ხაზად გავლებული შენონისეულ სისტემათა თვითორგანიზებული იერარქიის პრინციპის დომინირება და თერმოდინამიკის სამივე საწყისში იუველირული სიზუსტით ორიენტირება.

სწორედ ამ იშვიათი ღირსებების წყალობით, თავის პირველ სამეცნიერო დამრიგებელთან, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიის შესანიშნავ მკვლევართან, პროფესორ გიორგი მჭედლიშვილთან თანამშრომლობით, ნოდარ მითაგვარიამ ჩამოაყალიბა კონცეპტუალური წარმოდგენა ტვინის მეტაბოლურ უზრუნველყოფაზე, როგორც ფუნქციურ სისტემაზე. აღნიშნული შეხედულება მკვლევართა წრეში დღესაც ცხარე განხილვების საგანია.

თავის ტვინის ფუნქციური აქტივობის ჰემოცირკულაციურ-მეტაბოლური უზრუნველყოფის რეგულაციისა და პათოლოგიურ მდგომარეობათა შესწავლისას პროფესორი ნ. მითაგვარია დღემდე ერთგული რჩება ძალზე პერსპექტიული და ამავე დროს ტვინის სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიისთვის სრულიად არატრადიციული თეორიული დებულებებისა, რომელნიც პრობლემას სისხლის მექანიკისა და აგრეგაციული მდგომარეობის პოზიციიდან განიხილავენ.

ნოდარ მითაგვარიას თაოსნობით ამ ასპექტით განხორციელებული ნაშრომები და მდიდარი ექსპერიმენტული მასალების თეორიის სახით თავმოუყრელობა მხოლოდ ავტორის სამეცნიერო ასკეტიზმის დამადასტურებელია.

1971 წლიდან ივ. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ჯერ კიდევ ნეიროკიბერნეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელობისას ნოდარ მითაგვარია ინტენსიურად ჩაება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაციის კომპლექსური მექანიზმების ვარიაბელობის ექსპერიმენტულ დასაბუთებაში და მათი რეციპროკული ინტეგრაციის თეორიის დამუშავებაში. ამ პრობლემის წარმატებით გადაწყვეტას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მართვისა და რეგულაციის სისტემების ფუნქციონირების პრინციპებისა და მათი ანალიზის მეთოდოლოგიის ფლობამ, რომლის ერთ-ერთი ქვაკუთხედი გარდამავალი პროცესების ანალიზია.

მოგვიანებით, მისივე თაოსნობით ჩამოყალიბებულ თავის ტვინის მეტაბოლური უზრუნველყოფის მარეგულირებელი მექანიზმების ლაბორატორიის ხელმძღვანელობისას, პროფესორმა ნოდარ მითაგვარიამ აღმოაჩინა და აღწერა თავის ტვინში სისხლის ადგილობრივი ნაკადის ინტენსივობის დიაპაზონი, რომელსაც უწოდა „ჰომეოსტაზური დიაპაზონი“, ანუ ის დიაპაზონი, რომლის ფარგლებში სისხლის ნაკადის ინტენსივობა აკმაყოფილებს თავის ტვინის მოცემული უბნის მეტაბოლურ მოთხოვნას. ჰომეოსტაზური დიაპაზონის ჰიპოთეზა ხშირად არის ციტირებული თანამედროვე უცხოენოვან ლიტერატურულ წყაროებში და მან თავის ტვინის სისხლით მომარაგების აუტორეგულაციის დარღვევის შესახებ შეფასებას რეალური სარწმუნოობა შესძინა.

მიკროცირკულაციის საკითხებზე და, განსაკუთრებით, სამეცნიერო ქვედისციპლინად ჩამოყალიბებულ ფარმაკოფიზიოლოგიაში ვირტუოზურად წარმოებული ექსპერიმენტული კვლევებით პროფესორმა ნოდარ მითაგვარიამ საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა იმ პერიოდში, როდესაც წარჩინებულ ქართველ მკვლევარებს წინ აღარ მიუძღოდა სახელოვანი ქართული ფიზიოლოგიური სკოლის გარდასული ქარიზმა.

ნოდარ მითაგვარიას გამოკვლევებში არსებით ეტაპად უნდა ჩაითვალოს ამერიკელ მეცნიერებთან ერთად შესრულებული ნაშრომები, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა 1978 წელს. ერთობლივი კვლევის ძირითადი საკითხი არის ონკოლოგიურ კლინიკაში ფართოდ გამოყენებადი ახალი სამკურნალო მოდალობის — ჰიპერთერმიის სიმსივნურ ქსოვილზე დადებითი მოქმედების ფიზიოლოგიური მექანიზმების დადგენა.

1991 წლიდან პროფესორი ნოდარ მითაგვარია არის ლოს-ანჯელესის ონკოლოგიური ინსტიტუტის (Valley Cancer Institute) უფროსი მეცნიერი კონსულტანტი. კლინიკური ჰიპერთერმიის საერთაშორისო საზოგადოებამ 2010 წლის სექტემბერს გერმანიის ქ. კელნში შემდგარ კონგრესზე პროფესორი ნოდარ მითაგვარია ამ საზოგადოების პრეზიდენტად აირჩია.

ნოდარ მითაგვარიას კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თავის ტვინის ლოკალური ინფარქტის ექსპერიმენტული შესწავლის პრობლემას და მისი განვითარების პროფილაქტიკასა და მკურნალობის საქმეში სამამულო წარმოების ცერებროპროტექტორული პრეპარატის პლაფერონ-LB-ს ეფექტურობის კვლევის საკითხებს. დადგენილია ამ პრეპარატის განსაკუთრებული ეფექტი თავის ტვინის მეორადი ინსულტისა და მომდევნო ინფარქტის პროფილაქტიკის საქმეში.

სამართლიანობა მოითხოვს, განსაკუთრებით აღინიშნოს ის დიდი ღვაწლი, რომელიც პროფესორმა ნოდარ მითაგვარიამ დასდო საქართველოში თავის ტვინის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის კლინიკური ასპექტების კვლევის განვითარებას. იმის გარდა, რომ საკუთარ ლაბორატორიაში შემუშავებული ტვინის ფოტოქიმიური ინფარქტის მოდელებზე წარმოებულ პილოტურ გამოკვლევებში ბატონმა ნოდარმა და მისმა მოწაფეებმა მიიღეს უამრავი ახალი ექსპერიმენტული ფაქტი, რომელიც საფუძვლად დაედო მწვავე ცერებრული იშემიის პათოგენეზური მკურნალობის ნოვაციებს, ქართული კლინიკური ანგიონევროლოგიის პრიორიტეტის განმტკიცებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ინსულტის საერთაშორისო საზოგადოების ეგიდით ორგანიზებულმა იმ ტრადიციულმა თბილისის საერთაშორისო კონფერენციებმა, რომელთა ხუთგზის მოწვევის სულისჩამდგმელი თხუთმეტი წლის წინათ იყო ბატონი ნოდარი აღნიშნულ უმნიშვნელოვანეს მოვლენაში თავისი სახელისა და როლის აქცენტირების გარეშე.

ნოდარ მითაგვარიას ხელმძღვანელობით და კონსულტაციით შესრულებულია და წარმატებითაა დაცული 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იგი არის თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO), და ევროპის ნეირომეცნიერთა ფედერაციის (FENS) მმართველი კომიტეტების წევრი, ქსოვილებში ჟანგბადის ტრანსპორტის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISOTT) ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს ნეირომეცნიერთა ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი, ევროპის ნევროლოგთა საზოგადოების (FENS) და სხვა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების წევრი.

პროფესორი ნ. მითაგვარია არის ივანე ბერიტაშვილის პრემიის ლაურეატი, მისი სამი მონოგრაფია გამოცემულია საქართველოში (1983), რუსეთსა (1995) და ა.შ.შ-ში, (2009), ხოლო 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატია დაბეჭდილია მაღალრეიტინგულ პერიოდიკაში.

**ამაგდარი მეცნიერი ცხოვრების სახელოვან თარიღს მოღვაწეობის ახალი ეტაპის დასაწყისად მიიჩნევს. იგი მას ახალი შემოქმედებითი გეგმების აღსრულების ჩვეული უნარმოსილებით ხვდება, რის მტკიცე რწმენას მეცნიერებაში უშეღავათო ცხოვრების წესი იძლევა.**

ფრიდონ თოდუა,
აკადემიკოსი,

გურამ ბექაია,
პროფესორი,

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, ჩა, ჩოდის?

• გერმანელმა ეგვიპტოლოგმა ლუდვიგ ბარჰარდმა ერთ დღეს თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „აღწერას აზრი არა აქვს, ეს საკუთარი თვალით უნდა ნახო“, — მან ნეფერტიტის ბიუსტი აღმოაჩინა.

• კალიფორნიის ნახევარკუნძული მექსიკას ეკუთვნის.

• საბჭოეთის ხელმძღვანელმა იური ანდროპოვმა ე.წ. „უზბეკეთის ბამბის“ გახმაურებულ საქმეში მილიარდ-ნახევარი მანეთის გაფლანგვისათვის ლეონიდ ბრეჟნევის სიძე ჩურბანოვი დააპატიმრა.

• ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ყველაზე მაღალი ადამიანი ამერიკაში 1918-40 წლებში მცხოვრები რობერტ პერშინგ უოდლოუ იყო, რომლის სიმაღლე 272 სანტიმეტრს აღწევდა; ჩვენს დროში პირველობა 257 სმ. სიმაღლის უკრაინელ ლეონიდ სტადნიკს ეკუთვნის.

• 1920 წელს გამოშვებულ პირველ საბჭოთა ტანკს „თავისუფლებისათვის მებრძოლი ამხანაგი ლენინი“ ერქვა.

• იტალიის ქალაქი ვენეცია 118 კუნძულზეა გაშენებული.

• ვიქტორ ჰიუგოს რომანში „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ ესმერალდას თავის ბეკეკასთან ერთად ასამართლებენ. ეს ეპიზოდი სინამდვილიდან არის აღებული.

• ზღაპარი „კონკია“ შარლ პეროსაც აქვს დაწერილი და ძმებ გრიმებსაც.

• ჯონ ლენონის მკვლელი დევით ჩეპმენი 1981 წლის აგვისტოს სასამართლო პროცესზე ტყვიაგაუმტარი ჟილეტით გაიყვანეს.

• 1650 წლამდე აფრიკის კონტინენტის მოსახლეობა დედამიწის 18 პროცენტს შეადგენდა. 1990 წელს კი — მხოლოდ 7,5 პროცენტს და ამის მიზეზი ის იყო, რომ აფრიკელები მონებად მიჰყავდათ.

• კოვზი გადაადნეს და... ასე გააკეთეს პირველი კალის ჯარისკაცი.

• ის პირველად 1588 წლის 12 მაისს კათოლიკური ეკლესიის ლიგის მომხრეებმა პარიზის ქუჩებში ააგეს. ამის შემდეგ ის სხვადასხვა მიზნით მრავალჯერ აღიმართა სხვადასხვა ქალაქში და ეს იყო ბარიკადები.

• მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტურმა გერმანიამ 13 სპეციალური ექსპედიცია გაგზავნა ბრძოლებისათვის საჭირო პირობების შესასწავლად და ერთ-ერთი იყო მეტეოროლოგიური ექსპედიცია.

• სიერა-ლეონეში გამოუშვეს 75 დოლარის ღირებულების მონეტები, რომელზეც გამოსახულია იოანე-პეტრე II.

• ფინურმა ფირმამ „ვალიომ“ სარეკლამო სააგენტოს სთხოვა, მოეგონებინა სახელწოდება თავისი ახალი რძის პროდუქტისთვის. სახელწოდებაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო იგივე ასოები, რაც ფირმის სახელში იყო. სააგენტოს დავალების შესრულება არ გასჭირვებია და შემკვეთმა ახალ პროდუქტს „ვიოლა“ დაარქვა.

• „გმირი დედის“ ორდენი სულ 400 ათას ქალს აქვს მიღებული. რუსეთში მისი აღდგენაა დაგეგმილი.

• სინოპის ბრძოლამდე საფრანგეთის მთავარმა გემთმშენებელმა დიუპუი დე ლომმა ნაპოლეონ III დაარწმუნა, რომ ეს სიახლე აუცილებელი იყო ფლოტისთვის და ასე აიგო „ლავი“, „ტონანტი“ და „დევასტისიონი“. სწორედ ესენი იყვნენ მსოფლიოში პირველი ჯავშნიანი ხომალდები.

• ყოველ 85 ახალშობილზე ერთი ტყუპისცალი მოდის, ყოველ 7000 — სამი ტყუპისცალი, ყოველ 700.000 — ოთხი ტყუპისცალი.

• ვაზი არა მხოლოდ საქართველოს, საბჭოთა კავშირის კიდევ სამი რესპუბლიკის: სომხეთის, მოლდავეთისა და თურქმენეთის გერბებზე იყო გამოსახული.

• 1778 წელს იმპერატრიცა ელიზავეტასთვის მიძღვნილი ოდისთვის ლომონოსოვი 2 ათასი მანეთით დააჯილდოეს. რადგან ხაზინაში ოქრო არ იყო, სპილენძის ფული რამდენიმე მარხილით მიართვეს.

ხელისუფლების საყურადღებოდ!

# კურორტი აბასთუმანი — დიდი დარდი და დიდი ტკივილი...

**აბასთუმანი — ოდესღაც ედემის ბაღად თუ სამოთხედ წოდებული სამთო კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტი, რომელსაც ადარებდნენ შვეიცარიის სახელგანთქმულ კურორტებს ლეიდენსა და დავოსს, დღეს უკვე მთელი საქართველოს სირცხვილია, სალათას ძილით მიძინებული, დაცემული და ცოცხალმკვდარი...**

დიახ, იყო და აღარ არის!..

ის, ვინც რამდენიმე წლის წინათ დამტკბარა აბასთუმნის ბრწყინვალებით, სჯობს აღარასოდეს ჩამობრძანდეს აბასთუმანში, დაე, მის მეხსიერებაში დარჩეს ისეთად, როგორიც ოდესღაც უნახავს, თუმცა, რაა გასაკვირი, განა დროის მსახვრალი ხელი მარტო აბასთუმანს შეეხო? ვისთვის გაბრწყინდა ეს ქვეყანა, ვისთვისაც ჯოჯოხეთად იქცა. ვინ გამათხოვრდა, ვინ გაზულუქდა და ზენიტზე მოექცა... მსოფლიო მნიშვნელობის კურორტი, სადაც სამკურნალოდ ჩამოდიოდნენ ყოფილი სსრკ-ის უკიდურესი წერტილიდანაც კი... შესანიშნავი კლიმატი, უნიკალური, ღვთით ბოძებული სამკურნალო, მინერალური ცხელი წყლები, მედიცინის უახლესი მიღწევები, და 4-5 თვეში საშინელი სენი — ტუბერკულოზი ფარ-ხმალს ყრიდა. დიახ, აქ ერთდროულად ათ სანატორიუმში 1500 ავადმყოფი მკურნალობდა. შედეგი — 95-97 პროცენტი განკურნებული პაციენტი!

ეს იყო მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება.

დიახ, იყო, და აღარ არის, ამ პატარა მივარდნილ ხეობაში 1500-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობდა, მათი 80 პროცენტი დასაქმებული იყო სანატორიუმებში.

სრული დატვირთვით მუშაობდა 10 სანატორიუმი, მათ შორის ერთ-ერთი ბავშვთა — „ცისარტყელა“, სადაც ერთდროულად მკურნალობდა 200-ზე მეტი ბავშვი. აქაც და ყველა დანარჩენ სანატორიუმებში ავადმყოფები სრულ განკურნებამდე რჩებოდნენ, ხოლო ბავშვთა სანატორიუმთან მოქმედებდა სკოლა, ერთდროულად მკურნალობდნენ და სწავლობდნენ კიდეც.

400-ზე მეტი უფროსი და საშუალო სამედიცინო პერსონალი ემსახურებოდა ავადმყოფთა გამოჯანმრთელების საქმეს. ასევე, ავადმყოფებს ემსახურებოდა თანამედროვე ტექნიკით, თუ სამკურნალო საშუალებებით აღჭურვილი ლაბორატორიები.

მე 1953 წელს დავფუძნდი აბასთუმანში. დიახ, მოვესწარი აბასთუმნის ბრწყინვალებას, მის აღზევებას, მის დაცემა-გაპარტახებას და გატიალებას.

დღეს მიჩუმებულ-მიწყნარებულია აბასთუმანი, ოდესღაც ხალხმრავალი, ლაღი, მხიარული. ქუჩებში კანტიკუნტად მიმოდიან ადამიანები.

ზამთარი ხომ სიჩუმის ბუდედ იქცა, მოქმედებს ერთადერთი სანატორიუმი „ზეკარი“. ეს არის და ეს!

აბასთუმნელებს აღარა აქვთ ოდესღაც უმაღლეს დონეზე მომუშავე პოლიკლინიკა. სადღაა ლაბორატორიები, პედიატრიის კაბინეტი, რენტგენი...

ბევრი სატკივარ-საფიქრალი მოგვიტანა დღევანდელობამ. იყო ყველაფერი, აღარაა აღარაფერი. დავრჩით ცაში გამოკიდებულები, აღარავინაა ჩვენი პატრონი. და მარტო აბასთუმნელები ვართ ასეთ დღეში?

ოდესღაც მოქმედი წყალგამწმენდი სადგური დროებას ემსხვერპლა, კარგა ხანია აღიგავა პირისაგან მიწისა. ამღვრეული, ატალახებული, ნაგვის ორმოდ ქცეული მდინარე ოცხე პირდაპირ შემოდის ჩვენს ოჯახებში — გაჯერებული ყოველგვარი სიბინძურით, გაჯერებული ტუბერკულოზის და ნაწლავის ჩხირებით.

ჩვენს სასმელ წყალსაც კი თან მოჰყვება ათასნაირი ჭიები, ბაყაყების ნაგლეჯები (სრული პასუხისმგებლობით ვწერ!ძ. ეს ილუზია და მოლანდება კი არა, სინამდვილეა.

ჩვენს სატკივარზე არაერთხელ შევეხმიანეთ „ზემოთ“. ეჰ, ვის სცალია ჩვენთვის!

ძნელი წარმოსადგენ-დასაჯერებელია ჩვენი მდგომარეობა? მობრძანდით და საკუთარი თვალით ნახეთ ყველაფერი.

აბასთუმანი არა მარტო კლიმატური, არამედ ბალნეოლოგიური კურორტიცაა. იგი ცნობილია სამკურნალო, მინერალური ცხელი წყლებით. ოძრახე ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი, როგორც ბალნეოლოგიური საკურორტო პუნქტი. ვახუშტის თქმით, XVI ს-ის დასაწყისში აბასთუმანი მოქცეული ყოფილა თურქეთის ბატონობის ქვეშ. მხოლოდ 1828 წელს, რუსეთის დახმარებით დაუბრუნდა იგი საქართველოს. ე. ი. დაახლოებით საუკუნენახევრის განმავლობაში აბასთუმნის ტერიტორიაზე ოსმალები დათარეშობდნენ, ისინი დიდად აფასებდნენ აბასთუმნის მინერალურ-სამკურნალო წყლებს, ცხელი მინერალური წყლების გამო თურქები ოძრახის ხეობას ჩემიკ-ბოლაზს უწოდებდნენ. („ჩემიკ“ — თბილი, „ბოლაზ“ — ხეობას ნიშნავსძ. დროთა განმავლობაში მიკვლეული იქნა სამი მინერალური წყარო. ე. წ. „გოლიათისა“, ტემპერატურა 42,5 გრადუსი; ე. წ. „გველისა“ — 42 გრადუსი, ე. წ. სურავანდისა, — 39 გრადუსი. მას ადგილობრივები მუნის აბანოსაც უწოდებდნენ.



ამ წყაროებზე 1852 წელს აიგო ორი საააბაზანო ქვის ნაგებობა. როცა რუსის ჯარმა დაიკავა აბასთუმნის ტერიტორია, უბანი ნახევრად აოხრებული ყოფილა. მიუხედავად ამისა, რუსი ჯარისკაცები და ადგილობრივები წყლებით მაინც სარგებლობდნენ.

1832 წელს ახალციხის ლაზარეთის გამგის მ. გოლბლატის მიერ, რომელიც შემდეგ კავკასიის სამხედრო ინსპექტორებს ჩაუდგა სათავეში, გაგზავნილი იქნა პირველი ჯგუფი ჯარისკაცებისა, მინერალური წყლების მოქმედების გამოსაკვლევად. პირველმა ცდამ ჯარისკაცები განკურნა სნეულებისგან, ამ გარემოებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა. აღიძრა საკითხი აბასთუმანში ახალციხის სამხედრო ჰოსპიტალის განყოფილების გასახსნელად.

სამივე წყაროს წყალი 1200 მ. სიღრმიდან ამოდის. წყლის საერთო დებეტი 1.064.725 ლიტრია დღე-ღამეში.

1869 წელს, როდესაც აბასთუმნის მინერალური წყლები შევიდა სამოქალაქო მედიცინის სამმართველოში, კავკასიაში დაარსდა თბილისის გუბერნიის მინერალური წყლების სამმართველო, 1871 წ. უფროსად დაინიშნა გერმანელი ექიმი ადოლფ რემერტი. მასვე დაექვემდებარა ამიერკავკასიის მინერალური წყლები.

აბასთუმანში აბაზანათა მშენებლობა დაიწყო 1878 წელს.

აბაზანების კეთილმოწყობის შემდეგ შენობის წინ გაკეთდა ლამაზი დასასვენებელი პარკი და მბრუნავი შადრევანი. ეზოში დღესაც დგას იმ დროს დარგული უზარმაზარი ხეები ცაცხვისა, ფიჭვისა, ნეკერჩხლისა, მის გვერდით კი მდინარე ოცხეზე, ვიწრო გასასვლელში, დაახლოებით 20 მეტრის სიმაღლიდან ეშვება ულამაზესი, წყალუხვი ჩანჩქერი, რომლის სასიამოვნო ხმაური მთელ მიდამოს წვდება.

აბასთუმნის შენობა, ჩანჩქერი, ხიდი, შადრევანი, დასასვენებელი პარკი ადოლფ რემერტის საკუთრება იყო და დღესაც ყველაფერ ამას რემერტის სახელი ჰქვია.

1892 წლამდე აბასთუმანი რემერტის საკუთრება იყო. იმავე წელს რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე მესამეს შეუსყიდია აბასთუმანი. აქ ისვენებდა და მკურნალობდა უფლისწული გიორგი.

იმპერატორმა ალექსანდრემ იზრუნა აბასთუმნის კიდევ უფრო დამშვენებაზე, უფლისწულისთვის ააგო ორი სასახლე — საზაფხულო — ხის შენობა, საზამთრო — ქვითკირისა. ორივე სასახლე დღესაც დგას, ოღონდ საკმაოდ შელანძღული, დანგრევის პირასაა მისული.

უფლისწული გიორგი გარდაიცვალა უბედური შემთხვევის გამო 28 წლის ასაკში, ველოსიპედით კლდეს შეეჯახა და იქვე დაიღუპა. იგი წაასვენეს და დაკრძალეს პეტროგრადში, ზამთრის სასახლის ეკლესიაში, ხოლო უფლისწულის დაღუპვის ადგილას აუგიათ პანთეონი, მარმარილოს ობელისკი, რომელიც დღეს აღარ არსებობს!

აბასთუმნის გაყიდვის შემდეგ რემერტი სამშობლოში — გერმანიაში წასულა. სიკვდილის წინ სურვილი გამოუთქვამს მისი ნეშტი აბასთუმანში დაეკრძალათ, მართლაც, ის ჩამოასვენეს და დაკრძალეს აქ, აბაზანების შენობის მახლობლად, მოპირდაპირე მთაზე, საიდანაც საფლავი რემერტის ხიდს, ჩანჩქერს, აბაზანების შენობას გადმოსცქერის.

რემერტის საფლავს დღეს აბასთუმნის საჯარო სკოლის მოსწავლეები უვლიან.

საბჭოთა წყობილების დროს ამ წყლებით სარგებლობდნენ აბასთუმნის მკვიდრნი, მიმდებარე სოფლების მცხოვრებლები, სამკურნალოდ ჩამოსულები...

დროის მსახვრალი ხელი აბასთუმნის უნიკალურ მინერალურ წყლებსაც შეეხო. ისიც გატიალდა, მისი უპატრონობით ისარგებლეს ბოროტმა ძალებმა და ლამის ნანგრევებად აქციეს, ძარცვავდნენ დღისითაც და ღამითაც. მუსრი გაავლეს საუკუნენახევრის წინათ ჩაწყობილ სპილენძის მილებს და თითქმის გაქრა უნიკალური მინერალური წყალი...

მაგრამ ღმერთმა მთლად არ გაწირა აბასთუმანი, 1999 წელს აბასთუმნის მინერალურ წყლებს მხსნელად მოევლინა 21 წელიწადი რუსეთში ბედის საძიებლად გადახვეწილი გენადი ენდელაძე, რომელმაც შეისყიდა მინერალური წყლების შენობა, და მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, თითქმის ნულიდან დაიწყო აბაზანების შენობის კეთილმოწყობა. დღისით და ღამით შეუსვენებლად მუშაობდა სამშენებლო ბრიგადა და 3-4 თვეში შენობის ერთი მხარე — 16 საააბაზანო პირვანდელ დონეზე აღადგინა. ამავე დროს, დააწესა ხელმოკლე ოჯახებისთვის უფასო მომსახურება... მაგრამ ამ ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა — გამოჩნდნენ მეტოქეები, ძალით წაგლიჯეს გენადის აბაზანების შენობა, ყველაფერი მიანგრ-მოანგრიეს და ისევ მშრალზე დატოვეს როგორც აბასთუმნელები, ისე მიმდებარე სოფლების მცხოვრებლები, იმის იმედით, რომ ახალი მეპატრონე მალე, მალე, მალე, დღედღეზე დაიწყებდა აღდგენით სამუშაოებს!..

არაფერი ჩანს სასიკეთო, არც მინერალური წყლები, არც წყალგამწმენდი სადგური!

წარსულს გაჰყვა ყველაფერი, იმ ავადმოსაგონარ წარსულს, საბჭოთა დროს რომ ეძახიან, უფრო სწორად, ძეგლებთან მებრძოლ დროს! ერთი განსხვავებაა, — წინათ გვპირდებოდნენ, ილუზიებით გვაბრუებდნენ, დღეს ესეც მობეზრდათ!

და ასე, ნელ-ნელა ვეგუებით დღევანდელ რეჟიმს აბასთუმნელები. თუ კურორტი უზარმაზარ სანაგვე ორმოდ იქცა, დიდი ამბავი! თუ მოსახლეობისთვის აღარ არსებობს ღვთით ბოძებული სამკურნალო მინერალური ცხელი წყალი, დიდი ამბავი! თუ ნელ-ნელა იცლება აბასთუმანი მოსახლეობისგან, დიდი ამბავი! თუ უპატრონობისგან სულს ღაფავს აბასთუმანი, დაე ნურავის გაუკვირდება, თვალი რომ წარსულისკენ გვაქვს მიპყრობილი. ან ეს რა შეღავათია? იტირე, იკრიახე, თავში ქვა ირტყი. ამაოა ყველაფერი. ალბათ სამუდამოდ ჩაესვენა აბასთუმნის მზე.

ერთი კია, ნეტავი იმას, ვისაც სამოთხედ თუ ედემის ბაღად წოდებული აბასთუმანი არ უნახავს.

**ზინა ლობჟანიძე,**
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

კურორტი აბასთუმანი.

ინფორმაცია



## ეგვიპტის ახალი ხელისუფლება ანტიამერიკული იქნება?

**— ეგვიპტის** ახალი ხელისუფლება, სავარაუდოდ, ანტიამერიკული განწყობის იქნება. ამასთან, მას რელიგიური განწყობა ექნება, — აღნიშნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტის დირექტორმა ალექსეი ვასილევმა, რომელიც ამჟამად ვაშინგტონში იმყოფება. მისი განმარტებით, ახალ ხელისუფლებაში რელიგიური ელემენტის შეტანა ფანატიზმს სულაც არ ნიშნავს.

შეგახსენებთ, ჰოსნი მუბარაქიმ თავისი 30-წლიანი მმართველობის შემდეგ განაცხადა, რომ ეგვიპტის პრეზიდენტის პოსტზე თავის კანდიდატურას აღარ წამოაყენებს და სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას სექტემბრამდე შეასრულებს, რაღა თქმა უნდა, მომიტინგეებმა თუ დააცალეს!

## იაპონელები ქათმებს ანადგურებენ

**იაპონიის** პრეფექტურის — მიაძაკის ხელისუფლებამ 190 ათასი ქათმის განადგურება დაიწყო. ამ ოპერაციაში იაპონიის თავდაცვის ძალების 400 ათასი ჯარისკაცი მონაწილეობს.

საშიში ვირუსის მორიგი აფეთქება მიაძაკის პრეფექტურის ერთ-ერთ საქათმეში ახლახანს გამოვლინდა. ფერმის გარშემო 10 კილომეტრის ირგვლივ კარანტინი გამოცხადდა. ამასთან, ამ ზონის საზღვრებს გარეთ პროდუქციის გატანაც აიკრძალა.

ე.წ. ქათმის გრიპის ეს უკვე რიგით მეშვიდე გავრცელების კერაა, რომელიც მიმდინარე ზამთარში მიაძაკში დაფიქსირდა.

ადგილობრივი პრეფექტურის დავალებით 22 იანვრიდან უკვე 500 ათასზე მეტი ქათამი გაანადგურეს. სპეციალისტები ვირუსის წყაროდ გადამფრენ ფრინველებს მიიჩნევენ, რადგან მახლობლად მდებარე ხოკაიდოში რამდენიმე მკვდარი გედი იპოვეს. ანალიზმა დაადასტურა, რომ ფრინველები გრიპით იყვნენ დაავადებულნი.

## იორდანიის მეფე აბდულამ მთავრობა დაითხოვა

**სამეფო** სასახლის განცხადებით, მეფემ ახალ პრემიერ-მინისტრად სამხედრო საკითხებში საკუთარი მრჩეველი მარუფ ბახიტი დანიშნა და ახალი კაბინეტის ფორმირება დაავალა, რათა ქვეყანაში „ჭეშმარიტი პოლიტიკური რეფორმები“ გატარდეს.

შეგახსენებთ, რომ იორდანიაში უკვე რამდენიმე კვირაა მთავრობის გადადგომისა და პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარების მოთხოვნით ოპოზიციური პარტიების ორგანიზებით აქციები მიმდინარეობს. ამანში დემონსტრანტთა რიცხვი ყოველდღე იზრდება.

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მეჩეთები ეკლესიების სანაცვლოდ

**თბილისმა და ანკარამ მოილაპარაკეს ისტორიული ძეგლების შენარჩუნების საკითხზე. საქართველოს კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ ორშაბათს ჟურნალისტებს აცნობა, რომ ამ მიზნით ამოქმედდება „გაცვლითი მეთოდი“: თურქეთი დაიწყებს მეჩეთების რეაბილიტაციასა და მშენებლობას საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველო კი ეკლესიებისას თურქეთისაზე. ასე მიადგა თბილისმა პირველ კონკრეტულ შედეგს მეზობელთან დავაში, რაც შეეხებოდა სიძველის ძეგლებს. რიგშია აზერბაიჯანი და სომხეთი.**

საქართველოს საზოგადოებრიობამ და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა დიდი ხანია დააყენეს ეკლესიების პრობლემა ძველი ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე – სამთავროსი, საიდანაც მოდიოდა ბაგრატიონების სამეფო შტო. ტაო-კლარჯეთის ქრისტიანული ძეგლები დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ თურქეთის ხელისუფლების ზრუნვის გარეშე და კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ზოგიერთი მათგანი, რესტავრატორების შეფასებით, ველარ გადარჩება, სხვებისთვის აუცილებელია ოპერატიული რესტავრაცია. მათგან მნიშვნელობის მიხედვით, მეცნიერებმა გამოყვეს ოთხი ეკლესია, რომლებთათვისაც ხვალინდელი დღე შეიძლება აღარ დადგეს: ეხნის ხანძთა, ოშკი, იშხანი, ოთხთა. მაგრამ მოლოდინი, რომ მალე გაიგებდა ამას სტრატეგიული პარტნიორი, როგორადაც თურქეთია მოხსენიებული საქართველოს ეროვნული უშიშროების დოქტრინაში, მოულოდნელად გადაჭარბებული აღმოჩნდა. როგორც ნიკა რურუამ განაცხადა, „საქართველოს მხარე თურქეთს ნებას რთავს, რათა გადაარჩინოს თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურის ძეგლები“. გამოსავალი არ არის, ეს ნაბიჯი უნდა გადადგმულიყო, თქვა მინისტრმა, როდესაც კომენტარს უკეთებდა ოქმს, რომელიც გაფორმდა ამ დღეებში თურქეთისა და საქართველოს სამთავრობო კომისიების მიერ. სხვათა შორის, როგორც რურუამ განმარტა, დოკუმენტი შეიძლება არც იყოს საბოლოო – ოქმის შედეგს მოგვიწევს დავიწყოთ შეთანხმება, თუ ამ დროისათვის არ გაიზრდება პარტნიორის აპეტიტი. ასე რომ, საკითხი ჯერჯერობით ღიაა.

თურქეთის კონტრწინადადებაა, რომლისაც დაეთანხმა საქართველოს მხარე, არ შეიძლება არ გამოიწვიოს გარკვეული შეკითხვები. თუ მეჩეთების მშენებლობას და აღდგენას აჭარაში ექნება განმარტება – ავტონომიურ რესპუბლიკაში ბევრია ხალხი, რომელიც ისლამს მისდევს, სამცხე-ჯავახეთში – რეგიონში, რომელიც უპირატესად დასახლებულია სომხებით, აზრი აქვს განა გავარკვიოთ და აღვიდგინოთ ჰიპოთეტური სცენარი, სადაც შეიძლება მიგვიყვანოს მეჩეთების გაჩენამ ამ მხარეში?



შეიძლება, რასაკვირველია, გავიხსენოთ, რომ ამ რეგიონში უნდა დაბრუნებულიყო 1940 წელს ძალით რეპატრირებული თურქი მესხების მოსახლეობის დაბრუნება – შესაბამისი ვალდებულება საქართველომ იკისრა ევროსაბჭოში. მაგრამ პირიქით, როლებთაც ამჟამად თბილისი შეუძლია უზრუნველყოს გადმოსახლებულები, მათ მთლიანად ხელს არ აძლევს – მასობრივი დაბრუნება ვერ მოხერხდა. სამცხე-ჯავახეთში დაბრუნდა დაახლოებით რამდენიმე ათეული ოჯახი და დასახლდნენ რეგიონში არაკომპაქტურად, გაბნეულები სხვადასხვა, ერთმანეთს დაშორებულ სოფლებში. ეს ერთი სიტყვით, დიდია იმის ალბათობა, რომ ჯავახეთში აღდგენილი საკულტო მუსულმანური შენობები ვერ იმოქმედებენ დატვირთვით, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, ეს შეიძლება გახდეს ერთგვარი გამაღიზიანებელი ფაქტორი რეგიონის ამჟამინდელი მოსახლეობისთვის. თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგიონში არ არის გადაჭრილი დავები ზოგიერთი ქრისტიანული ნაგებობის კუთვნილების საკითხში – „თავისად“ მიიჩნევენ მას ქართული მართლმადიდებელი ეკლესიაც და სომხური სამოციქულო ეკლესიაც, შესაბამისად უბრალო მრევლიც.

თუ „თურქულ მიმართულებაში“ გაჩნდა შუქი, „სომხურში“ ასეთი შუქი ჯერჯერობით არ ჩანს. წინედ ერევნიდან არაერთხელ დაუყენებია საკითხი საქართველოს სასულიერო და საერო ხელისუფლების წინაშე თბილისში რამდენიმე ეკლესიის სომხური ეპარქიის კუთვნილებისა, აგრეთვე სომხური ეპარქიისთვის იურიდიული სტატუსის გადაცემის შესახებ საქართველოში.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# რას ამერიკელისთვის კაიფია, რუსისთვის შემოჭრაა?

**მოსკოვი და თბილისი, ამ უკანასკნელმა ცალმხრივად გაწყვიტა ყველა ურთიერთობა რუსეთთან ცხინვალზე ქართული თავდასხმის შემდეგ, გადავიდნენ ამ ომის განხილვის სხვა სიბრტყეზე. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგულმა კომისიამ დახურა რუსეთ-საქართველოს დოსიე და მიიღო გადაწყვეტილება ამიერიდან აღარ დანიშნოს სპეციალური მომხსენებელი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით.**

„ახლა ჩვენ უკვე აღარ გვეყოლება სპეციალური მომხსენებლები, მომხსენებლები მხოლოდ რუსეთისა და საქართველოს კონფლიქტზე 2008 წლის აგვისტოს მოვლენების კონტექსტში“, – განაცხადა კომისიის ხელმძღვანელმა დიკ მარტიმ. მისი სიტყვებით, დაინიშნებიან მომხსენებლები ქვეყნების (რუსეთი და საქართველოძ მიხედვით, რომლებიც თვალყურს გაადევნებენ სიტუაციას. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ სამხრეთ ოსეთში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მოვლენათა განვითარებას რეგიონში. ორი წლის განმავლობაში მან ხუთჯერ განიხილა ეს თემა, მათ შორის რუსეთისთვის ევროსაბჭოს ასამბლეაში ხმის უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობის შესახებ.

ამრიგად, მომავალი წლის იანვრამდე უნდა ველოდოთ მხოლოდ ერთ საინფორმაციო ცნობას მონიტორინგული კომისიისა რუსეთ-საქართველოს დოსიეს მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ეს სულაც არ ამსუბუქებს პრობლემის სიმწვავეს მოსკოვისა და თბილისის ამჟამინდელ ჩიხურ ურთიერთობებში და მათი მოწესრიგების პერსპექტივებთან დაკავშირებით.

საარტილერიო კანონადის გრუხუნისა და ძლევამოსილი რემბოების დესანტის გარეშე ამერიკელებმა შეძლეს დაემორჩილებინათ საქართველო და გადაექციათ იგი ვაშინგტონის სახელმწიფო დეპარტამენტის ყურმოჭრილ შემსრულებლად. ყველაფერი კი დაიწყო 1992 წლის 31 ივლისს, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთან დადო სამთავრობათაშორისი შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ „ჰუმანიტარული და ტექნიკურ-ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობის დარგში“. ვაშინგტონმა და თბილისმა მოილაპარაკეს, იყვნენ პარტნიორები რესპუბლიკის აღორძინებაში სამოქალაქო ომის შემდეგ.

ამისთვის გახსნა საქართველომ იანკებისთვის ყველა თავისი კარი და იკისრა ვალდებულება, განუხრელად დაუჭიროს მხარი ყველაზე ხელშემწყობ რეჟიმს ამერიკის შეერთებული შტატების ნებისმიერი გადაადგილებისთვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. დამახასიათებელია, რომ ყველა პროგრამის რეალიზაციის კოორდინატორად გამოდიოდა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (შშსგს. სახელმწიფო დეპარტამენტის ამ სტრუქტურულმა ქვედანაყოფმა დაუყოვნებლივ გახსნა თბილისის სასტუმრო „მეტეხში“ თავისი ოფისი, რომლის თანამშრომელთა რაოდენობა მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომელთა რაოდენობაზე მეტი იყო. და ახლაც ცოტათი თუ ჩამორჩება მას, რისი გათვალისწინებითაც საქართველოს ხელისუფლებამ გულუხვად მიანიჭა ქვედანაყოფს ვრცელი და მდიდრული ცალკე სახლი დედაქალაქის ცენტრში, სადაც უკვე დიდი ხანია ბინადრობენ სახელმწიფო დეპარტამენტელები.

ჯერ კიდევ რუსეთის იმპერატორის დროს აგებული ეს შენობა საბჭოთა პერიოდში იყო უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობის და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება. 1992 წელს კი აქ ახალმოსახლეობა იზეიმა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ. პირველი ელჩი კენტ ბრაუნი მაშინ თავის კაბინეტში აქ აწყობდა პრესკონფერენციებს. ჟურნალისტებს, რომლებსაც სკამები არ ჰყოფნიდათ, ის სვამდა მარქსისზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებათა გორაკებზე, რომელთა აღურიცხავი ტომები ეწყო კაბინეტის წიგნის კარადებში.

მაგრამ დაფინანსების მოცულობები განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას არ ახდენდნენ. საქართველოში თავისი მოღვაწეობის ათი წლის განმავლობაში სააგენტომ გამოსცა კარგად გაფორმებული ბუკლეტი, რომელშიც საქართველოში დაბანდებული თანხა ამ პერიოდში შეფასებული იყო 2 მილიარდ დოლარად. რუსეთის საფინანსო ინიექციები კი რესპუბლიკაში, სხვათა შორის, ამდენივე თანხისა იყო, მაგრამ იგი ყოველწლიურად ყალიბდებოდა სავაჭრო პრეფერენციებისგან და ქართველი გასტარბაიკერების ფულადი გზავნილებისგან სამშობლოში.

ამავე დროს სააგენტო ყოველთვის ცდილობდა, ყოფილიყო ჩრდილში, თუმცა რეგულარულად აწყობდა თავის ოფისში ყველა საერთაშორისო და ჰუმანიტარული ფონდების წარმომადგენლობათა ხელმძღვანელების თათბირებს თბილისში. კონტროლი საფინანსო ნაკადებსა და



გრანტების, სპონსორების ხარჯების განკარგვაზე იყო და კვლავაც იქნება უკიდურესად მკაცრი. არსებითია, რომ ყველა პროგრამა და პროექტი პრაქტიკული მნიშვნელობის გარდა იყო იდეოლოგიური დატვირთვისაც – ეს იყო ცხოვრების ამერიკული წესის პროპაგანდა და ქართული ტრადიციული მორალური პრინციპებისა და ზნეობრივი ხასიათების ნგრევა. ამჟამად ქართველები მოიმკიან ვესტერნიზაციის მწარე ნაყოფს.

ახლადშექმნილი მფარველები არაფერს იშურებდნენ: საქართველოს წამყვან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ანიჭებდნენ უხვ გრანტებს, მათ ჟურნალისტებს იწვევდნენ უცხოეთში „კვალიფიკაციის ასამაღლებლად“ და ოსტატობის სრულყოფისთვის მაღლეწიო პრესის გრანტების დონეზე. შედეგად წამყვანი მასმედიის ბირთვს თბილისში ამჟამად შეადგენენ შემოქმედებითი კოლექტივები, რომლებიც გაწაფულები არიან დასავლური სტანდარტების მიხედვით. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებისთვის ძალიან იოლია, მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება, რისი აპოთეოზიც გახდა შარშან მარტში თბილისის არხის „იმედის“ გახმაურებული სატელევიზიო მისტიფიკაცია „რუსეთის არმიის ვერაგული შემოჭრის შესახებ“, რამაც მოსახლეობის პანიკა გამოიწვია.

2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციას“, სხვათა შორის, ინფორმაციულად უზრუნველყოფდა დასავლეთის მიერ გრანტებით გამოკვებილი ტელეკომპანია „რუსთავი-2“ და უნდა ვაღიაროთ, უკიდურესად ეფექტიანადაც. შევარდნაძის გადაყენებას მოსახლეობა მიესალმა „ვაშათი“. რევოლუციონერებს კი ლამის აღმერთებდნენ. ამ უკანასკნელის შესახებ დღეს ძალიან ბევრი ღრმად სწუხს კიდეც. უდავოა, რომ საქართველო რუსეთისთვის ასრულებს სრულიად განსაკუთრებულ როლს თავისი მრავალსაუკუნოვანი კონფესიონალობის ძალით, კულტურული, სამეურნეო ეკონომიკური სიახლოვით. ამ ვითარებით მანიპულირებამ ჩრდილოეთი მიიყვანა იქამდე, რომ იგი გზისპირას აღმოჩნდა სამხრეთთან ურთიერთობების სრული გაწყვეტის პირობებში.

საქართველოში დიდი ხანია შეწყდა რუსეთის მედია საშუალებების ტელერადიო ტრანსლაცია, არ შემოდის მოსკოვის გაზეთები და ჟურნალები. მოსახლეობას სიღარიბის გამო არ შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ინტერნეტის მეშვეობით. ხოლო ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი ადგილობრივი პრესა და ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომელთა წარმომადგენლებიც ცნობილი არიან თავიანთი გრანტიჭამიაობით, დღისით და ღამით აწარმოებენ აშკარა რუსოფობიურ პროპაგანდას.

ავად თუ კარგად, მაგრამ რუსულენოვანი პრესა რესპუბლიკაში მაინც არის. ინფორმაციის მიხედვით, რომელიც მოგვაწოდეს თბილისიდან, აქ გამოდის ბეჭდვითი ორგანოები „სვობოდნაია გრუზია“, „ვეჩერნი ტბილისი“, „მნოგონაციონალნაია გრუზია“, „კავკაზსკი აქცენტ“, „აფხაზსკი მერიდიან“, „ნა ხოლმახ გრუზი“, „ისტოკი“, „რუსკოე ვეჩე“, „კაზაკ გრუზი“, „ნაშე ვრემია“, „მოსტ“, „პოდრუგა“, „რუსკი კლუბ“, „პანორამა“, „ეხო დაიჟესტ“, „ნაროდნაია გაზეტა“, „ნოვი ვზგლიად“, „მიდია“, „შალონ“, „დეტი ნარტოვ“, „გოლოვინსკი პროსპექტ“, „ნოვოე პოკოლენიე“, „დომინო“, „ზოდიაკ“...

შთამბეჭდავია? ვაი რომ ბევრი მათგანი გაურკვეველი პერიოდულობითა და მცირე ტირაჟიანობისაა, ზოგიერთი მათგანი გამოდის შემთხვევიდან შემთხვევამდე, სხვები მთლიანად დამოკიდებულია სპონსორების ხუშტურზე, ზოგიერთი კი, მთლიანად გაქრა.

РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**ნაცისტი დამნაშავე, რომელსაც ბრალი ედება 17 ათასი კაცის მკვლელობაში, გარდაიცვალა დაუსჯელად**

ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე პიტერ ეგნერი ცხოვრობდა ხანდაზმულთა სახლში სიეტლის მახლობლად. 2010 წლის აპრილში სერბეთმა მასზე ძებნა გამოაცხადა ათასობით ებრაელისა და ბოშის მკვლელობის ბრალდებით ბელგრადის მახლობლად საკონცენტრაციო ბანაკში. ამერიკის ხელისუფლება დათანხმდა მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევაზე, მაგრამ მან ეს ვერ მოასწრო.

* * *

**„ვიკილიკსის“ საიტმა მოიპოვა დოკუმენტები 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის სამი დაკარგული მონაწილის შესახებ**



ყატარის სამი მოქალაქე ჩავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001 წლის 15 აგვისტოს. მათ დაათვალიერეს მსოფლიო სავაჭრო ცენტრი, თავისუფლების ქანდაკება და თეთრი სახლი, შემდეგ კი გაემგზავრნენ ლოს-ანჯელესში, საიდანაც დაბრუნდნენ სამშობლოში ტერაქტის წინა დღით. ამერიკის სპეცსამსახურების მონაცემებით, მათ თვალყურს ადევნებდნენ და სურდათ მათი დაკითხვაც, მაგრამ შემდეგ მათი ძებნა შეწყვიტეს.

* * *

**იტალიაში დაკავებული „დოკუ უმაროვის ძმა“ აღმოჩნდა მოსკოვის ტერაქტის თვითმკვლელის ძმა**




ანვარ შარიპოვის მამამ დაადასტურა, რომ მას ტერორისტული აქტის შემდეგ ეშინოდა, რომ დაუწყებენ ძებნას სამართალდაცვის ორგანოები და ამიტომ გაემგზავრა რუსეთიდან. მამამისის სიტყვებით, გამომძიებელმა აცნობა მას, რომ ანვარს არ ეძებენ. თავად შარიპოვი ტერორისტული აქტის შემდეგ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აძლევდა ინტერვიუს და აცხადებდა, რომ მას მონაწილეობა არ მიუღია ტერორისტულ აქტში.

* * *

**ინდოეთში დაიღუპა 14 ახალგაზრდა კაცი, რომლებიც მატარებლის სახურავიდან ჩამოვარდნენ**

დაზარალებულები უმუშევარი ახალგაზრდები არიან. ისინი ბრუნდებოდნენ სახლში სასაზღვრო სამსახურში მოწყობის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ. სახლში რომ ჩასულიყვნენ, ბევრი უბილეთო სახურავზე ავიდა. ქალაქ შახჯახანპურის რაიონში ბევრმა მათგანმა ვერ შენიშნა დაბალი ხიდის მოახლოება. დარტყმის შედეგად ბევრი ხალხი ჩამოცვივდა ძირს.



ვეხმაურებით!

# თბილისში სწორედაც უნდა იდგეს ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი!

ეს მტკივნეული, გულდასაწყვეტი საკითხი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში კარგა ხანია ტრიალებს და ვერაფრით დადებითად ვერ გადაწყდა, ახლახან გაზეთ „ახალ თაობაში“ (მე „ასავალ-დასავალში“ გადაბეჭდილი წავიკითხე) შეგვახსენა შესანიშნავმა ახალგაზრდა კაცმა და ისტორიკოსმა, ამჟამად თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ჯაბა სამუშიამ**:

**„ცოტა უხერხულია, როდესაც თბილისში ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი არ გვაქვს. იგი იმ დონის მწერალია, რომელსაც სხვა ერებიც კი ხოტბას ასხამენ. მოვუწოდებ თბილისის მერიასა და საკრებულოს, ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლის შექმნაში დაგვეხმარონ“.**



ა. ყაზბეგის ძეგლი სტეფანწმინდაში

როგორ გითხრათ, ეს საკითხი არახალია, იმდროინდელია, როდესაც დიდი ქართველი მწერლის ფასიც იცოდნენ საქართველოში და მნიშვნელობაც, თაობები კითხულობდნენ, თაობები ეთაყვანებოდნენ მის უიშვიათეს პროზას, თუმცა თბილის-ქალაქში მისი ძეგლი ვერა და ვერ აღმართეს.

ჰოდა, დღეს, კომპიუტერისა და ინტერნეტის ეპოქაში, წიგნმაც რომ ფასი დაკარგა და მწერალმაც, როდესაც დღევანდელი გოგო-ბიჭების უმრავლესობას სულაც არ აინტერესებს ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი იქნება თუ არა თბილისში, ჭეშმარიტად მისასალმებელი და მხარდასაჭერია ბატონი ჯაბა სამუშიას წუხილი.

რა თქმა უნდა, თბილისის მერიამ და საკრებულომ უნდა ითავოს ყოველივე, რაც შეეხება მხატვართა კავშირს, როგორც მისმა თავმჯდომარემ ბატონმა გია ჯანბერიძემ გვითხრა, ოღონდ ეს საკითხი დადებითად გადაწყდეს და ქართველი მოქანდაკეები სიამოვნებით იმუშავებენ ძეგლის შექმნაზე, უნდა გამოცხადდეს დახურული კონკურსი, არ ავჩქარდეთ, მივცეთ დრო მოქანდაკეებს და, დაე, ღირსეულმა გაიმარჯვოსო...

**არადა,** იმ სიგრძე და იმ სიფართე ყაზბეგის გამზირს ნაღდად დაამშვენებს ეს ძეგლი, დარწმუნებული ვართ, რომ დღევანდელი ხელისუფლება „მწვანე შუქს“ აუნთებს დასმულ საკითხს, თუნდაც იმიტომ, რომ, თავის უკვდავ ნაწარმოებებში, ალექსანდრე ყაზბეგი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის სიყვარულით დიდად არ გამოირჩევა.

**ვილენ მარდალეიშვილი**

ალიარება

**ქუჩაში ორნი, წოწოლა ლეიბორისტი და ლიპუცა კონსერვატორი, მიდიოდნენ. ვინაიდან საკეთებელი არაფერი აქვთ (ზამთრის არდადეგებია) და სახელისუფლებო ჩინოვნიკობაც თავს არხეინად გრძნობს, ჩვენი გმირებიც ლაღობდნენ და რაღაც მიეთ-მოეთით ერთობოდნენ.**

— ეს ჩვენი ქალაქის ყორჩი რამ დააკოჭლა, ხომ არ იცი? — იკითხა შემპარავი ხმით ლეიბორისტმა და გასამხნევებლად ხმადაბლა ჩაახველა.

— გიგიზე მეუბნები? — უმალ იყნოსა კონსერვატორმა, — ამათსას რა გაიგებს კაცი, როგორც თავად ავრცელებენ, მენისკის ოპერაცია გაუკეთებია.

— არ დაიჯერო, შეკერილია, — თქვა მთქნარებით წოწოლამ და ნაბიჯს აუჩქარა.

— ვინ არის შეკერილი, ტო, უგულავა? — იკითხა სერიოზული ტონით ლიპუცამ.

— უგალავა კი არა (ეგ თავად კერავს სხვებს!), მენისკის ამბავია შეკერილი, — სცადა დაზუსტება ლეიბორისტმა, — მე როგორც ვიცი, ბაკურიანში თხილამურიდან გადმოვარდნილა და წვივი გაუბზარავს.

— ოხ, ერთი მიშაც მანახა იმ თხილამურიდან გადმოვარდნილი! — ინატრა ლიპუცამ.

— მიშა, ბიჭო, თვითმფრინავიდან არ ვარდება და თხილამურიდან გადმოვარდება? — ცივი წყალი გადაასხა წოწოლამ.

— მაშინ იქნებ ტახტიდან მაინც გადმოგვეგდო?

— ვინა, ტო, ამას თქვენ ამბობთ, კონსერვატორები? — ჩაიხითხითა ლეიბორისტმა.

— რატომაც არა, ჩვენ რომ ქუჩაში ვიდექით და მიშას გადადგომას მოვითხოვდით, გახსოვთ, თქვენ კურდღლებივით ბუჩქებში რო იმალებოდით?

— ერთი ამას დამიხედე, რეებსა როშავს, ტო, — წამოენთო წოწოლა, — გუშინ მიშა ხალხს რო პასუხობდა, ვინ გაუგზავნა კითხვა — როდის გადადგებიო? — კუკავამ თუ ნათელაშვილმა?

— კითხვა, თორემ მაგასაც გული არ გადაუქანდა? ტყუილე-

## მიშამ მოგვიჯოკრა!

ბის ბრახაბრუხით ისე იყო გართული, ლეიბორისტები საერთოდ არც გახსენებიხართ.

— ჰო, მაგაში მართალი ხარ, — მოლბა წოწოლა, — პრეზიდენ-



ტი ქართული თოვლის უნიკალურ თვისებებზე საუბრობდა და ჩვენთვის ვეღარ მოიცალა.

კონსერვატორმა ლეიბორისტის პოზიციური სისუსტით ისარგებლა და უმალ აჯახა:

— წოწოლ, რახან თოვლი ახსენე, იქნებ განმარტო, მიშა ჩვენებური თოვლის უნიკალურობაში რას გულისხმობდა?

— პირველ რიგში მის ეკოლოგიურ უმანკოებას (ხომ წარმოგიდგენია, სვანეთში, მაგალითად, იქაური სვანების გარდა თოვლისთვის ფეხი არავის დაუკარებიაძ და შემდეგ მის საარაკო კალორიულობას.

— კალორიულობას? — ყურები ცქვიტა კონსერვატორმა.

— ჰო, რა გიკვირს. როგორც ჩვენი პრეზიდენტი ამბობს, ქართული თოვლი, თურმე, ასკილის ყვავილივით, ვიტამინებით არის გასიკნული.

— სწორედ ეგ ვერ გავიგე, — გამოტყდა ლიპუცა, — რატომ არის ჩვენი თოვლი ვიტამინებით გატანილი და, ვთქვათ, შვეიცარიული — ვიტამინებისგან დაცლილი?

— ეგ, ჩემო ძმაო, თავად მიშას უნდა ჰკითხო.

— რატომ მაინც და მაინც მიშას?

— იმიტომ, რომ სვანური და აჭარული თოვლი პირველმა სწორედ მან დააჭაშნიკა.

— აბა, თუ ასეა, არ გაგიკვირდეს, რომ პრეზიდენტმა ქართული თოვლი საექსპორტოდაც გაიტანოს.

— რატომაც არა, მაგრამ, ეტყობა, ჯერ ინვესტორებს ეძებს.

— ინვესტორები თოვლთან რა კავშირში არიან? — გაიკვირვა ლიპუცამ.

— სწორედაც რომ არიან. მიშას ამბავი ხომ იცი, ტყუილუბრალოდ ფულს არაფერში გადაყრის. უცხოელი ბიზნესმენები შემოვლენ, თანხებს ჩაყრიან, თოვლს შეაგროვებენ, ლამაზად შეფუთავენ და საზღვარგარეთ სულ ციმციმ გაზიდავენ.

— მერედა ასეთ სარფიან საქმეს უმალავს პრეზიდენტი თავის დამშეულ ხალხს?

— არხეინად იყავი, დრო დადგება (არჩევნები ახლოვდებაძ და ყველაფერს დაამღერებს.

— ჰო, მართალი ხარ, ოპოზიციამ დროა ვაღიაროთ, რომ მიშამ ყველა ვარიანტში მოგვიჯოკრა. ეგ ჩვენი მერცხალა პრეზიდენტი თავიდან ლაპარაკს რომ იწყებს, შეიძლება ტინგიცად მოგეჩვენოს, მაგრამ მერე აღმოჩნდება, რომ გენიოსია.

— აბა, კაცო, — თავი დაუკანტურა წოწოლამ, — ეს გოგოშკა და ჭაბუკა მინისტრებიც რო ჭკუის კოლოფები გამოადგნენ?

— ვერონიკაზე ამბობ?

— ვერონიკა თავისთავად, მაგრამ ნახე ეს კვეზერელი, ყველას რომ უტვინო გვეგონა, რეებსა შვრება?

— ვითომ მასეთი რა გააკეთა?

— მეტი რაღა უნდა გააკეთოს, ძმაო, გლეხი ბარ-თოხნის მძიმე უღელს გამოსტაცა და სოფლის მეურნეობა ერთი ხელის დაკვრით (ბაყაყების მომგებიანი ექსპორტითძ ჭაობიდან ამოათრია.

— კაცო, მე რასა ვფიქრობ ხოლმე იცი? — ხმა დაიბოხა კონსერვატორმა, — ეს ამერიკა იმდენად არ მოიხიბლოს მიშათი, რომ ჩვენი დემოკრატია თავისთან წაიღოს და თავისი კიდე ჩვენ შემოგვტენოს(!ძ.

— არც ეგ იქნება გასაკვირი, — შეეჭვდა ლეიბორისტიც, — ეგ კი არა, ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლება საქმე იქამდე მივიდეს, რომ პრეზიდენტების (ობამა-სააკაშვილისძ გაცვლის საკითხიც დადგეს?

— რას იზამ, — თავზე ხელი შემოირტყა ლიპუცამ, — ეტყობა, ამის შეგუებაც მოგვიწევს.

**ოთარ ხუციშვილი**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# ჩვენი მთიანეთი: დღევანდელობა და მერმისი

**აკადემიისა და იმისი „მთიანეთის პრობლემათა შემსწავლელი კომისიის“ თაოსნობით გაიმართა ფართომასშტაბიანი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, მიძღვნილი ქვეყნის მთიანი რეგიონების (რომლებიც, აქვე სათქმელად, საქართველოს ტერიტორიის 78 პროცენტს შეადგენენ) ამჟამინდელი მდგომარეობისა და ვითარების გამოსწორება-გაუმჯობესების გზების განხილვისადმი.**

**შეკრებას ესწრებოდნენ ეროვნული აკადემიის და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მედიის წარმომადგენლები, ჩვენი მთიანეთის სხვა გულშემატკივრები.**

**სხდომა გახსნა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ოთარ ნათიშვილმა. მოხსენებებით გამოვიდნენ ბერდო გოიშვილი, ნოდარ ჭითანავა, ლეო ჩიქავა, გოგოთურ აგლაძე, მირონ ფიცხელანი, ჯუმბერ ხანთაძე, კობა არაბული, თეიმურაზ კანდელაკი, მარატ ციცქიშვილი. ცნობილ მკვლევართა გამოსვლებს მრავალპლანიანი დისკუსია მოჰყვა.**

**აღინიშნა, თუ რა მძიმე ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარებაა ჩვენს მთიანეთში, როგორ გაუკაცრიელდა სოფლები, როგორი მცდელობაა უცხო ტომის მეზობელთაგან დაცარიელებული ადგილების დაპატრონებისა; ასევე საგანგაშოა, თუ როგორ ირღვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.**

**მდგომარეობა დემოგრაფიის კუთხითაც შეუწყნარებელია — შემცირდა შობადობა და გადიდდა სიკვდილიანობა, ერთეულებით აითვლება სასოფლო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა; სავალალო სურათია სოფლის მეურნეობაში: განუვითარებელი მესაქონლეობა, მოუვლელი სათიბ-საძოვრები, გაჩეხილი, მოუშენებელი ტყეები... არ იქმნება მცირე მრეწველობის გამოსაცოცხლებელი პირობები, დაბალ დონეზეა განათლება და სამედიცინო მომსახურება, გამოუყენებელია ენერგეტიკული რესურსები. მიგრაციულმა პროცესებმა პირდაპირ კატასტროფული ხასიათი შეიძინა.**

**მთიან რეგიონებში არსებულ ყველა ამ მწვავე პრობლემაზე მსჯელობასთან ერთად იმათ გადასაწყვეტად კონფერენციის მონაწილეებმა დასახეს მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი, მიუთითეს შესაბამის ეკონომიკურ ბერკეტებზე, გამოჰყვეს გადაუდებლად მოსაგვარებელი სოციალურ-სამეურნეო საკითხები.**

**— განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება ეროვნული აკადემიის მიერ გამოცემულ წიგნში შესულ კანონპროექტზე „დამატებანი და შესწორებანი მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების კანონში“. აღინიშნა მთის განუზომელი მნიშვნელობა ადამიანთა ცხოვრებაში: მთა ხომ, საერთოდ, კაცობრიობის არსებობისათვის ესოდენ საჭირო აურაცხელი სიმდიდრის პატრონია.**




**სწორედ „ქართულ“ მთაში გვაქვს მტკნარი წყლის, წყლის ენერგიის (თეთრი ოქროს), ტყის მასივების, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების, მინერალური წყლების, მადნეული და არამადნეული საბადოების, ეგზოტიკური მცენარეებისა და ცხოველების, ულამაზესი ლანდშაფტებისა თუ კულტურული მემკვიდრეობის ამოუწურავი რესურსები. ყოველივე ამას კი ვერ ვიყენებთ და ვკარგავთ.**

**საჭიროა კანონის ამოქმედება, რომ მთის სიმდიდრე რაციონალურად გამოვიყენოთ, მოსახლეობას ნორმალური საცხოვრებელი პირობები შევუქმნათ, მიგრაციული პროცესები შევაჩეროთ, — გვითხრა ზემოხსენებული სააკადემიო კომისიის თავმჯდომარემ, მეცნიერებათა დოქტორმა ბერდო გოიშვილმა.**

**კონფერენციამ დაადგინა: ეთხოვოს მთავრობას, რომ სასწრაფოდ განიხილოს და პარლამენტში დასამტკიცებლად შეიტანოს აღნიშნული კანონპროექტი; მთა აღიაროს დამოუკიდებელ ობიექტად დაგეგმარების, მმართველობისა და მეურნეობის თვალსაზრისით; გაატაროს მთისა და მთის მოსახლეობის მიმართ მფარველობითი პოლიტიკა; ყველა პირობა შექმნას მთიან რეგიონებში ტურიზმის, სამთო სპორტისა და რეკრიაციული მეურნეობის განსავითარებლად.**

**კონფერენციამ საგანგებოდ აღნიშნა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიისა და პარლამენტის რეგიონული მმართველობისა და მთის კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ბალავაძის დაინტერესება „მთის კანონით“ და პარტიასაც და კომიტეტის თავმჯდომარესაც ერთობლივი მუშაობა შესთავაზა კანონის დახვეწასა და საბოლოო სახით მიღებაში.**

სპეციალური კორესპონდენტი

№ 21. ხუთშაბათი, 3 თებერვალი, 2011 წელი.

კალათბურთი

# თასი მაინც სხვაა



**ბათუმის „ბასკო“, თბილისის „დინამო“, სტუ, თსუ, რუსთავის „ენერჯი ინვესტი“, „სასოფლო“ და „თბილავიამშენი“ (ორჯერძ – ეს ის კლუბებია, აქამდე ეროვნული თასი რომ მოუპოვებიათ. ამიერიდან ამ ჩამონათვალს მიმდინარე სეზონში შექმნილი „არმია“ შეუერთდა, რომელმაც დებიუტი მეცხრე თამაშების მოგებით აღნიშნა. საგულისხმოა მეომართა თავკაცის ლევან მოსეშვილის პირადი მიღწევაც – მრავალნაცადი მწვრთნელი მის შეგირდთა უკვე მეოთხე წარმატებით ხარობს.**

თავდაცვის სამინისტრო რომ სერიოზულადაა დაინტერესებული საკუთარ კალათბურთელებზე ზრუნვით, სუპერლიგის განახლების წინ მათთვის მოწყობილი ორკვირიანი სლოვენიური შეკრებაც მოწმობს. ჰოდა, ამაგიც დაუფასდა.

**„არმია“ – შსს 71:51**
**(18:6, 15:18, 22:10, 16:17ძ.**

**„არმია“:** შარაბიძე – 17, ბერიშვილი – 15, ბოისა – 11, ბაბიაშვილი – 9, ტუღუში – 8, მოსეშვილი – 5, ათანელიშვილი, პირველაშვილი, საყვარელიძე – 2-2 ქულა.

**შსს:** ლეჟავა – 15, ლაფანაშვილი – 9, კოტონი – 8, ნიკოლაძე – 6, ბარბაქაძე – 5, წივწივაძე – 4, ტომარაძე, ტუჯანი – 2-2 ქულა.

მართალნი ყოფილან ისინი, ვინც თვლიდნენ, რომ ნაადრევი ფინალი ნახევარფინალში გაიმართა, როცა ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა „არმიამ“ ბოისას მიერ უკანასკნელ წამზე ჩაგდებული სამქულიანით საკანდელიძე-ძორძიას ამასწინანდელი მემორიალის გამარჯვებული თსუ დაამარცხა – 67:66. სხვათა შორის, სტუდენტთა წაგება ბევრმა ფიბას არბიტრ ზაზა მაჩალაძეს დააბრალა, რომლის რამდენიმე გადაწყვეტილებამაც, მათი აზრით, არსებითი გავლენა იქონია შეხვედრის შედეგზე.



ეტყობა, ეს შეხედულება მთლად უსაფუძვლო არ ყოფილა, რადგან გადამწყვეტი მატჩის მსაჯობა ტურნირის ორგანიზატორებმა მაკა კუპატაძეს და დავით ბერეკაშვილს დააკისრეს, ხოლო „კოლინა“, სავარაუდოდ, დისკვალიფიკაციის გამო დაასვენეს.

რაც შეეხება სატიტულო ბრძოლას, როგორც მოსალოდნელი იყო, ტრავმირებული იმნაძისა და ტყუპი ძმების ბერიშვილების გარეშე მოასპარეზე წესრიგის დამცველებს ძალიან გაუჭირდათ ჩინებულ ფიზიკურ კონდიციებში მყოფ მრისხანე მეტოქესთან ღირსეულად გამკლავება. უთანასწორო დუელის გმირი სამშობლოში ახლახან დაბრუნებული ჭაბუკი ცენტრი გიორგი შარაბიძე გახდა (17 ქულა, 16 მოხსნაძ, რომელმაც პირველ ტაიმშივე შეასრულა ორმაგი „დუბლი“, თუმცა საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული სპეციალური პრიზი ბუბა ბერიშვილს გადაეცა, რაც, ვფიქრობთ, სავსებით ლოგიკურია: მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისიდან გადმოსვლის შემდეგ მან პირველად ჩაიცვა არმიელთა მაისური, მაინც უნარიანად უძღვებოდა პარტნიორთა იერიშებს და რამდენიმე მნიშვნელოვანი სამქულიანიც ჩააგდო.

ასე რომ, გენერალური რეპეტიცია დასრულდა და ხვალიდან უმთავრესი საშინაო შეჯიბრება – სუპერლიგა განახლდება.

**გიორგი შოთაძე**



ფეხბურთი

# ივოს ისევ ენდობიან

**საქართველოში მრავალ უცხოელ მწვრთნელს უმუშავია, მაგრამ ისეთი სიყვარულით, როგორიც ივო შუშაკმა დაიმსახურა, ცოტა თუ გაუცილებიათ.**

შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ პროფესიონალი სპეციალისტისა და იშვიათი პიროვნული ხიბლით დაჯილდოებული ხორვატი პიროვნების სახელს უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მიერ რუსებთან გახმაურებულ შესარჩევ მატჩში გამარჯვება – 1:0 (2003 წელიძ და თბილისის „დინამოს“ მიერ XXI საუკუნეში მოპოვებული უდიდესი საერთაშორისო წარმატება – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჩემპიონთა თასის დაუფლება (2004 წელიძ.



მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ამ დღეებში კი ბატონ ივოს სამშობლოში კიდევ ერთხელ გამოუცხადეს ნდობა და იქაური 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცად დანიშნეს.

დავძენთ, რომ ამჟამად 62 წლის შუშაკი საფეხბურთო სამყარომ 1998 წლის „მუნდიალის“ შემდეგ გაიცნო, სადაც ბრინჯაოს პრიზიორ ხორვატეთის ეროვნული ნაკრების დამრიგებლის ბლაჟევიჩის ასისტენტი იყო, ბოლო დროს კი „ზაგრებს“ ავარჯიშებდა.

ევრო-2012

# თუ ფორუმზე მოხვედრა გინდათ

**წლეულს, 1 მარტს დაიწყება ფეხბურთში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის, ის კი უკრაინასა და პოლონეთში უნდა გაიმართოს, ბილეთების გაყიდვა. როგორც ცნობილი გახდა, ყველაზე იაფი ბილეთი ეღირება 30 ევრო, ყველაზე ძვირი კი – 600 ევრო.**




საერთოდ დაიბეჭდება ტურნირის მატჩების 1,4 მილიონი ბილეთი, საიდანაც თავისუფლად გაიყიდება 75 პროცენტი. იქნება სამი კატეგორიის ბილეთი – პირველი ჯგუფი – ცენტრალური და მის მოპირდაპირე ტრიბუნებზე. მეორე – გვერდითი ტრიბუნები, კარსუკანა ტრიბუნების ზედა იარუსზე, მესამე, ყველაზე იაფი – კარსუკანა ტრიბუნების ქვედა იარუსზე.

ბილეთების შეკვეთა ინტერნეტითა და ელექტროფოსტით დაიწყო 1 თებერვალს. პირველი ბილეთი შეუკვეთა გულშემატკივარმა სამხრეთ კორეიდან. ვინაიდან მატჩებზე მოხვედრის მსურველი გაცილებით მეტია, ვიდრე ბილეთის რაოდენობა, გათამაშდება ლატარიაც.

შეგახსენებთ, რომ ევროპის წინა ჩემპიონატზე, ის კი ავსტრიასა და შვეიცარიაში გაიმართა 2008 წელს, ყველაზე იაფი ბილეთი ღირდა 50 ევრო, ხოლო ყველაზე ძვირი – ვენაში ფინალურ მატჩზე – 3747 ევრო.

ინტერნეტიდან

## იბრძოლებს ყაზახეთი?

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტზე ჟაკ როგეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყაზახეთის სპორტული ინფრასტრუქტურის მაღალმა ხარისხმა და დონემ. ოლიმპიური მოძრაობის თავკაცი ამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ჩავიდა, როგორც VII აზიური ზამთრის თამაშების სტუმარი.**

ის დაესწრო ტრამპლინიდან მხტომელთა ვარჯიშებს. მან ალმათის ტრამპლინი მსოფლიო დონის ნაგებობად მიიჩნია, როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ყურადღების ღირსია ყაზახეთის სხვა სპორტული ობიექტებიც. „ვფიქრობ აქ 2022 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარება შესაძლებელია, ეს მხოლოდ დროის საკითხია“, – თქვა ჟაკ როგემ.



თუმცა ისიც დაამატა, რომ ამ თამაშების ჩატარების უფლებისთვის იბრძოლებს ბევრი სხვა ქვეყანაც. ასე რომ, დიდი მეტოქეობა იქნება. ამ ოლიმპიადის მასპინძლობაზე უკვე განაცხადეს პრეტენზია უკრაინამ და ესპანეთმა. გაბედავს ყაზახეთი ასეთ მეტოქეებთან ბრძოლას?

## გიგზი – საუკეთესო მოთამაშე

**ინგლისური კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრებმა ნახევარმცველი რაიან გიგზი აღიარეს კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელად.**



ხმის მიცემის შედეგების მიხედვით, ის კი „წითელი ეშმაკუნების“ ოფიციალურმა ჟურნალმა და საიტმა მოაწყო, 37 წლის უელსელმა აჯობა ფრანგ ერიკ კანტონას და ლეგენდარულ ჯორჯ ბესტს.

გიგზი ყველაზე ტიტულოვანი მოთამაშეა. მასვე ეკუთვნის გამართული თამაშების რეკორდი. ის მთელი თავისი პროფესიული კარიერის განმავლობაში მხოლოდ ამ გუნდში თამაშობს. იქ ის 1990-91 წლების სეზონში გამოჩნდა, მეორე წელს კი უკვე „ძირითადში“ აღმოჩნდა. მან მოიპოვა პრემიერ-ლიგის 11 ტიტული, 4-ჯერ მოიგო ინგლისის თასი, სამჯერ – ლიგის თასი, ორჯერ კი – ჩემპიონთა ლიგა.

## ყველა გუნდის ფორმაში

**იანვრის ბოლო დღეს ჰავაის კუნძულზე ჰონოლულუში გაიმართა Pro Bowl – ამერიკული ფეხბურთის ყველა ვარსკვლავის მატჩი, აგრეთვე ნაციონალური ლიგის საუკეთესო გუნდის წოდებაზე „პიტსბურგ სტილერზისა“ და „გრინბეი პეიკეზის“ შეხვედრა.**

ყოველივე ამას წინ უძღოდა „პლეიბოის“ ვარსკვლავის ჯეიმი ელმონდსონის ფოტოსესია, ის კი ფოტომოდელია ამერიკული ფეხბურთის ლიგის 32-ვე გუნდისთვის, მათთვისაც კი, ვინც პლეი-ოფში ვერ მოხვდა. აღსანიშნავია, რომ ჯეიმი უკვე გადაიღეს შარშან ყველა გუნდის ფორმაში, რომლის შემდეგაც გულშემატკივრებს პროტესტიც კი გამოუთქვამთ, რომ 2010 წელს ლამაზმანი ეროტიკულად არ გამოიყურებოდაო.



იქნებ სწორედ ამის გამო გადაწყვიტა ჯეიმიმ ახალი ფოტოსესიის გამართვა. ინტერნეტის მომხმარებლებმა კი ხმა უნდა მისცენ, თუ რომელი გუნდის ტანსაცმელში ჩანს ის უფრო სექსუალურად.

## სხვა გაზეთიდან

# ლენინის მძღოლის საიდუმლო

## რატომ იმალებოდა ის 20 წელი პოლონეთში

**სტეპან გილი — ლენინის პირადი მძღოლი, რომელიც მას „მემკვიდრეობით“ იმპერატორის მეუღლის ალექსანდრა ფეოდორის ასულისგან ერგო, კაპლანის ცნობილი თავდასხმის დროს მის გვერდით იყო და დაჭრილი ბელადი მანქანაში შეიყვანა, რომ ექიმთან წაეყვანათ. ის იყო ლენინის დაკრძალვაზეც. მალე კი გაქრა...**

**გილის ოფიციალურ ბიოგრაფიაში არის თითქმის მეოთხედი საუკუნის ხარვეზი. უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის (კაგებეს) ვეტერანს, გადამდგარ პოლკოვნიკ ნიკოლაი კუკინს აქვს საკუთარი ვერსია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის ეს შესაძლებელი. დღე, როდესაც ბედმა იგი ლენინის პირად მძღოლს შეახვედრა, წვრილმანებამდე ახსოვს. ჩვენს კორესპონდენტთან ერთად ის კიდევ ერთხელ ჩავიდა ხუტორში, სადაც გილი იმალებოდა.**




გილი დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოს კოლუმბარიუმში.

### ქოხი წისქვილით

**ხუტორი ბელარუსის ქალაქ გროდნოს მიდამოებშია. ამ ადგილებში ნ.კუკინი პირველად 1946 წელს მოხვდა, როდესაც ახალგაზრდა ლეიტენანტი იყო.**

„მე იქ ჩაველი აზვერის აგენტურის დარჩენილ წარმომადგენლებთან საბრძოლველად, დასავლეთ ბელარუსში რომ იყვნენ გამაგრებული, — იგონებს კუკინი. — მაგრამ ერთხელ ჩამრთეს მდიდარი ხუტორების მფლობელთა განკულაკების ოპერაციაში. 1950 წლის მარტში მე მივიღე სტეპან კაზიმირის ძე გილის გამოსახლების დავალება. გავემგზავრე მითითებულ მისამართზე სამ წითელარმიელთან ერთად. ვხედავ, მდიდრული სახლი, წისქვილით. მეპატრონე, მისი ცოლი და ხანდაზმული მშობლები. პატრონი საშუალოზე მაღალი იყო, გამხდარი, რაღაცის თქმა უნდოდა ჩემთვის, მაგრამ თავს იკავებდა. და როდესაც ცოლი და მშობლები მანქანაში ჩასხდნენ (ოჯახი ვაგზალზე უნდა მიეყვანათ და სპეციალური ეშელონით გადაეგზავნათ ციმბირში), მოულოდნელად მთხოვა ქოხში შევსულიყავით, რომ „ციცის ქურქი“ წამოეღო. მეც შევყევი. ის სამზე შედგა და კედელში ქვის ხვრელში შეყო ხელი. იქიდან გაყვითლებული ქაღალდის რულონი გადმოიღო და მომაწოდა. გადავხედე და ლამის თავბრუ დამეხვა. იქ იყო ფოტოები, რომლებზეც აღნიშნული იყო, რომ სტეპან გილი არის სახალხო კომისართა საბჭოს (სახკომსაბჭოს) თავმჯდომარის — ესე იგი ლენინის — პირადი მძღოლი! დოკუმენტს ხელს აწერდა სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ბონჩ-ბრუევიჩი. იყო აგრეთვე მადლობა და ფოტოგრაფია, რომელზეც ახალგაზრდა გილი დგას მანქანის ფონზე. ლენინის ავტომობილი მე ვიცანი — მინახავს იგი სხვა ფოტოგრაფიებზე. თავად გილიც, თუმცა თითქმის 30 წელი გავიდა მას შემდეგ, ოდნავ თუ შეცვლილა.

99 პროცენტით ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემს წინ იდგა ლენინის მძღოლი. თუმცა გამოსახლების ორდერზე მას ერქვა სტანისლავ კაზიმირის ძე გილი, მოწმობაში კი — სტეპან კაზიმირის ძე გილი. ვეკითხები: „ეს როგორ?“ გილი მიხსნის: „მე პოლონელი ვარ, ეს ჩემი მშობლიური ადგილებია. აქ როცა დავბრუნდი, რეგისტრაცია გავიარე იმ სახელით, რომელიც ჩაწერილია პოლონელ კათოლიკეთა ეკლესიის დოკუმენტებში. პეტროგრადსა და მოსკოვში კი სიმარტივისთვის თავს სტეპანს ვუწოდებდი“.

უკანასკნელი ეჭვებიც გამიქრა. „მოიცადე, — ვეუბნები, — მოვახსენებ შენს შესახებ უფროსობას“. წავედი პარტიის საოლქო კომიტეტში. ჩემი უფროსი იყო პოლკოვნიკი ალექსეი ფროლოვი, მას გადავეცი გილის დოკუმენტები. ფროლოვი წავიდა გროდნოს პარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან სერგეი პრიტიცკისთან. უფროსობა დახურულ კარს მიღმა დაახლოებით ნახევარი საათი თათბირობდა. შემდეგ მითხრეს თავი შემეკავებინა გილის გამოსახლებაზე.

### ყველასი ეშინოდა

**დავბრუნდი ხუტორში და ვაცნობე სასიხარულო ამბავი. გილმა ქოხში შემიპატიჟა, ეტყობა, რაღაცის თქმა სურდა. „უკანასკნელი 20 წელი ვცხოვრობ, როგორც თაგვი კატის მოლოდინში, ყველასი მეშინია, — მიყვებოდა იგი. — ლენინის სიკვდილის შემდეგ თვითნებურად დავტოვე მოსკოვი, სამშობლოსკენ, გროდნოსკენ გამომიწია გულმა. აქ მე, ნათესავების წყალობით, მაქვს ხუტორი, წისქვილი, კარგი სახლი. თუმცა მიწევდა ჩემი წარსულის დამალვა.** 1939 წლამდე გროდნო ხომ პოლონეთის შემადგენლობაში იყო, აქ ბურჟუაზიული წესრიგი ბატონობდა. მეშინოდა პოლონეთის პოლიტიკური პოლიციისა. შემდეგ, როცა 1941 წელს გროდნო გერმანელებმა დაიკავეს, მეშინოდა, არ გაეგოთ, რომ ლენინის მძღოლი ვიყავი. ხოლო როდესაც 1944 წელს შემოვიდა წითელი არმია, უკვე საბჭოებისა მეშინოდა — შეიძლებოდა გამოსულიყო ჩემი თვითნებური გამოქცევა მოსკოვიდან“. ის ცოტა ხნით გაჩუმდა და თავის ქურთუკზე მიმითითა: „ეს ხომ ის ტყავის ქურთუკია, რომელიც 1918 წლის აგვისტოში მეცვა. იმ დღეს, როდესაც მიხელსონის ქარხანაში კაპლანმა ლენინს ესროლა. მაშინ მე ლენინი ხელით შევიტანე მანქანაში. საავადმყოფოში მინდოდა წამეყვანა, მაგრამ ლენინმა მიბრძანა კრემლში წასულიყავით“.

### იმპერატორიდან — ბოლშევიკებთან

**ეს იყო ჩვენი მეორე და უკანასკნელი შეხვედრა. უფროსობამ გამაფრთხილა: ამ ეპიზოდზე სიტყვა არ დაგცდესო. მაგრამ იმედი მქონდა, რომ როგორმე მაინც შევხვდებოდი გილს და გავიგებდი ახალ წვრილმანებს. მისი გამოსახლების ორდერზე აღნიშნული იყო, რომ მას ეკუთვნოდა არა მარტო ხუტორი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, არამედ ჩვეულებრივი ავტომანქანაც, რომლითაც ასრულებდა კომერციულ რეისებს გროდნოსა და პატარა დასახლებულ პუნქტებს შორის.** ასე გავიგე, რომ გილი იყო ხოლმე ქალაქში, და რამდენიმე დღის შემდეგ დავინახე იგი კიდეც მოედანზე. გავიქეცი მასთან შესახვედრად, მაგრამ ხალხის მასაში დამეკარგა. რამდენიმე დღის შემდეგ გავემგზავრე მასთან ხუტორში — ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა. მაგრამ სახლი ცარიელი დამხვდა. მეზობლებმა მითხრეს, რომ ოჯახი სადღაც გაემგზავრა, მისამართი არ დაუტოვებიათო. ასე დავკარგე გილის კვალი.



უკანა სავარძელში — ლენინია, საჭესთან — სტეპან გილი. საინტერესოა, მას იგივე ტყავის ქურთუკი აცვია?

ვაგრძელებდი სიტუაციის ანალიზს. ვიშოვე ლენინზე მოგონებების ხუთტომეული, რომელიც 1934 წელს გამოვიდა, მაგრამ იქ გილის მოგონებები ვერ აღმოვაჩინე, ვისაც 6 წლის განმავლობაში ყოველდღე ჰქონდა ურთიერთობა ბელადთან. სამაგიეროდ მასში იყო იმ ხალხის მოგონებები, ვინც ლენინს შეხვედრია ერთხელ ან ორჯერ. რაზე მეტყველებს ეს? იმაზე, რომ, ალბათ, გილი ქვეყნის გარეთ, ესე იგი პოლონეთში იყო. მაგრამ 1965 წელს, გილთან ჩემი შეხვედრიდან ხუთი წლის შემდეგ, მოსკოვში გამოვიდა მისი მოგონებები „ექვსი წელი ლენინთან“. ვერ დავიჯერე, მაგრამ მაქვს ვარაუდი: მოხსენება იმის შესახებ, რომ ლენინის მძღოლი იმალებოდა გროდნოში, მივიდა სტალინამდე. ალბათ, ხუტორიდან გილის წასვლა დაკავშირებულია ჩეკისტების მოქმედებასთან. ის შეეძლოთ მოეტაცათ და მიეყვანათ მოსკოვში. მიიჩნიეს, რომ ასეთი კაცი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. რასაკვირველია, შეიძლება გაგიკვირდეს, რომ გილი ციხეში არ ჩაუსვამთ, რომ ის გადარჩა. მაგრამ, მეორე მხრივ, მისი ბედი თავიდანვე უცნაურად აეწყო. რევოლუციამდე გილი ხომ იმპერატორის გარაჟში მუშაობდა და დაჰყავდა კიდეც იმპერატორის ცოლი ალექსანდრა ფეოდოროვნა. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ გარაჟი ნაციონალიზებული იყო, გილი კი, როგორც გამოცდილი მძღოლი, მანქანასთან ერთად „მემკვიდრეობით“ ლენინთან გადავიდა. რახან მისი ბედისწერა ასეთ კულბიტებს (აკრობატულ ხტომებს) ასრულებდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის დააბრუნეს მოსკოვში, მისცეს ბინა, დაბეჭდეს მისი მოგონებებიც ლენინზე. როდესაც გორკაში მუზეუმს მივმართე, მიპასუხეს, რომ გილის ბედი ბელადის სიკვდილის შემდეგ მათთვის უცნობია. კათოლიკურ ეკლესიაში კი, სადაც უნდა ინახებოდეს დოკუმენტები გილის ოჯახის შესახებ, როგორც აღმოჩნდა, მოხდა დიდი ხანძარი და არქივი დაიწვა. გილის ის ქაღალდები კი, რომლებიც მე უფროსობას გადავეცი, არავის დაუბრუნებია“.

ნიკოლაი კუკინთან ერთად მე გავემგზავრე გილის ხუტორის საძებნელად. ფეხით შემოვიარეთ რამდენიმე სოფელი გროდნოს მიდამოებში. როდესაც პატარა მდინარე ლოსოსნიას მივადექით, მან მიჩვენა: „აი, აქ იყო გილის წისქვილი. თუმცა ხუტორი დიდი ხანია, რაც დაინგრა“. უახლოეს სოფელში აღმოვაჩინეთ შესახედავად ყველაზე ძველი სახლი. დავაკაკუნეთ. გაგვიღო ხანდაზმულმა პოლონელმა პანიმ. ნ.კუკინი ზღურბლიდანვე დაინტერესდა: „გაგიგონიათ ოდესმე გილის ხუტორის შესახებ?“ — „მე სხვა სოფლიდან ვარ წამოსული. ყველას იცნობდა ჩემი ქმარი, ის ადგილობრივი იყო, მაგრამ ათი წლის წინათ გარდაიცვალა. თუმცა გამიგონია, რომ ვიღაც გილები აქ ცხოვრობდნენ. სწორია, მათ წისქვილი ჰქონდათ“. მალე ჩვენ დავრწმუნდით, რომ გილის ყველა ძველი მეზობელი ამქვეყნად აღარ არის.

ოფიციალური ვერსიით, გილი მოსკოვში გარდაიცვალა 1966 წელს და დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე. საფლავის ქვას აწერია, რომ ის პარტიის წევრი იყო 1930 წლიდან. მაგრამ თუ 1930 წელს გილი პოლონეთში იყო, ამ დროს ის პარტიაში ვერ შევიდოდა. ანკი შეიძლება, რომ ის არ ყოფილიყო პარტიული, როდესაც ლენინის გვერდით მუშაობდა 1918-დან 1924 წლამდე? ამ კაცის ბიოგრაფიაში ძველებურად მეტი შეკითხვაა, ვიდრე პასუხი.

**მარია პოზდნიაკოვა**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## ხსოვნა

# გივი მინდელი



**ქართულმა სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ელექტროტექნიკური დარგის ცნობილი წარმომადგენელი, აღიარებული მკვლევარი და ინჟინერი პროფესორი გივი მინდელი.**

**ქვეყნის ინტელიგენციას გამოაკლდა შეუბღალავი სახელის, სამაგალითო ადამიანობისა და ზნეობის პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ელექტროტექნიკური მეცნიერებისა და საინჟინრო საქმის განვითარებას მიუძღვნა.**

**გივი მინდელი დაიბადა 1929 წელს. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკურ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1953 წელს და მუშაობა დაიწყო სამთო საქმის საკავშირო-სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. მეტად ნაყოფიერი იყო ბატონი გივის მოღვაწეობა ამ სამეცნიერო დაწესებულებაში, რაც საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვით დაგვირგვინდა. სულ მალე მას პროფესორის წოდება მიენიჭა.**

**1970 წლიდან გ. მინდელი ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის გენერალურ დირექტორად. ათეული წლების მანძილზე ბატონი გივი გულმოდგინედ იკვლევდა სამთო საქმის ელექტრიფიკაციის პრობლემებს, ელექტრული მანქანების სპეციფიკურ ტექნოლოგიურ პროცესებსა და სპეციალური ტექნოლოგიური დანადგარების კონსტრუირების საკითხებს, რაც მის 160-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში, 60 გამოგონებასა და მონოგრაფიაშია ასახული. მისი ერთ-ერთი გამოგონების ლიცენზია იყიდა ცნობილმა შვეიცარულმა ფირმამ „მიკაფილმმა“.**

**პროფესორ გივი მინდელის მაღალ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის პრეზიდენტი გახლდათ. არჩეული იყო საერთაშორისო-სამეცნიერო-საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის ვიცე-პრეზიდენტად, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის წევრად. მას მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება. 2006 წელს ბატონი გივი დაჯილდოვდა ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის რედაქტორთა მმართველი საბჭოს მიერ „ვერცხლის მედლით“.**

**გ. მინდელი დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენით“.**

**წავიდა ჩვენგან უაღრესად კეთილშობილი, ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებული ღირსეული მამულიშვილი მინდელების დიდი გვარიდან. მან ისე იცხოვრა, რომ ყველგან და ყველასთან დიდი სიყვარულის და სიკეთის კვალი დატოვა. მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ დაუკარგავს სულიერი სიმხნევე და ამ ქვეყნიდან წავიდა კაცური კაცის სახელით. ბატონი გივის სახელი დიდხანს იცოცხლებს ქართული საზოგადოებისა და მისი მეგობრების მეხსიერებაში.**

**ნათელი დაუმკვიდროს უფალმა გივი მინდელის სულს ზეციურ ქვეყანაში.**

**საქართველოს საინჟინრო აკადემია;**
**საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;**
**საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირი.**

---

**გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, ღვაწლმოსილი პიროვნება, ბატონი გივი მინდელი — ღირსების ორდენის კავალერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, „მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის საპროექტო-საკონსტრუქტორო“ ინსტიტუტის დირექტორი დაარსების დღიდან, აგრეთვე საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.**

**ბატონი გივი იყო ჭეშმარიტი მოქალაქე, თავის სამშობლოზე მოფიქრალი და მზრუნველი.**

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება ბატონ გივი მინდელის გარდაცვალებას, თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

*საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე*
**მერაბ ბერძენიშვილი**

---

**ფაზისის საერო აკადემიის სახელით ნუგზარ ნადარაია, გივი გავარდაშვილი, ლია წურწუმია, კლიმენტი შელია, ანზორ შონია, ანზორ ბაბუხადია, ჯემალ კვირტია, სიმონ ზაქარაია, გივი გვასალია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი პოეტის, ვაჟა ეგრისელის და**

**მარგო დოლბაია-ალექსანდრიასი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**შვილები ტარიელ, ჟუჟუნა პოპიაშვილები, რძლები ნანა ჭიჭინაძე, თამარ ბატიაშვილი, შვილიშვილები მაია, გია აღნიაშვილები, მარიკა, ბადრი პოპიაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან**

**მაყვალა ხვთისოს ასულ ყაჭაშვილ-პოპიაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 II, 13 სთ. დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში.**

---

## ნომრის კარიკატურა





## დაიჯესტი



### მაცივარი – მილები

ორმა მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერმა, პროფესორმა ჯეიმს ლავლოკმა და ლონდონის მეცნიერების მუზეუმის დირექტორმა კრის რასფლეიმ დედამიწის გლობალურ შიმშილთან ბრძოლის ახალ ხერხს მიაგნეს, წერს ბრიტანული გაზეთი „გარდიანი“.

მათ მილიონობით 200-მეტრიანი დიამეტრის წყალქვეშა მილის გიგანტური სისტემის გამოყენების წინადადება წამოაყენეს, რომლის მეშვეობითაც ოკეანის სიღრმიდან ზედაპირზე საკვები ნივთიერებების ამოქაჩვა იქნება შესაძლებელი.

### რა განაპირობებს ნიჭს?

ჰარვარდის სამედიცინო ცენტრის ფსიქოლოგიის პროფესორმა ალფრედ როზენბერგმა ლიტერატურის დარგში ნობელისა და ჟურნალისტიკის დარგში პულიტცერის პრემიის ლაურეატთა ბიოგრაფიები შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ ლაურეატთა მხოლოდ ერთ პროცენტს ჰყავდა მშობლები, ვინც ოფიციალურად ატარებდნენ მწერლის ან ჟურნალისტის სტატუსს.

მხატვრებსა და მათემატიკოსებში საქმე თითქმის ასევეა, ხოლო მუსიკოსებში დინასტიებს უფრო ხშირად ვხვდებით. ხელოვნების ისეთ დარგებში კი, როგორებიცაა კინო და თეატრი, გენიოსების შვილები ზოგჯერ ისე ბრწყინავენ, რომ მათ მშობლებს ალარც ადარებენ.

### დასვენება სერიოზული საქმეა

სტატისტიკა მოწმობს, რომ ჩვენ თანამოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას (დაახლოებით 80 პროცენტს) დასვენება ზაფხულში ურჩევნია, თუმცა ბოლო დროს ზამთარში დასვენების მსურველთა რიცხვი თანდათანობით მატულობს. ამასთან, დადგენილია, რომ სრულფასოვანი დასვენებისთვის კაცს 28 დღე სჭირდება.

თან აღმოჩნდა, რომ დასვენების გარეშე მომუშავე ხალხის სიცოცხლის ხანგრძლივობა ქრონიკული ალკოჰოლიკების სიცოცხლეზე ხანმოკლეა; მთელი საკურორტო რომანების 20 პროცენტი მხოლოდ ერთ ღამეს გრძელდება, მათი ნახევარი ერთ კვირას „იფურჩქნება“ და მხოლოდ 4 პროცენტს მოჰყვება მყარი კავშირი; მსოფლიოში ყველაზე



ხანგრძლივი შვებულება – 39 დღე – აქვთ ფინელებს; ყველაზე ნაკლებს – 10-14 დღეს – იაპონელები ისვენებენ; ბრიტანელ მოსამსახურეთა 80 პროცენტი შვებულებისას საქმიან მიმოწერას აწარმოებს, 50 პროცენტი კოლეგებს ტელეფონით ელაპარაკება, 10 პროცენტი კი მაინც ოფისს სტუმრობს; 40 პროცენტით უმცირდებათ გულ-სისხლძარღვთა დაავადების საფრთხე მათ, ვინც წელიწადში თუნდაც ერთხელ ისვენებს; ტურისტების 40 პროცენტი შვებულებაში წაღებულ მთელ ფულს ხარჯავს, ხოლო 5 პროცენტს თან ბავშვების წაყვანაც უნდა, ოღონდ... მეუღლის გარეშე.

### თავი თავადვე შეილება

ჩილეს მდინარე კონსუზნესზე ახლადგადებულმა შეუხედავი რუხი ფერის ხიდმა რამდენიმე თვეში თვალისთვის მეტად სასიამოვნო იშვიათი მწვანე ფერი მიიღო ისე, რომ მას... მღებავის ხელი არ შეხებია. საქმე ის არის, რომ ხიდმა საკუთარი თავი... თავადვე შეიღება: მისთვის საგანგებოდ ისეთი დაბალლეგირებული ფოლადი შეარჩიეს, რომელიც ატმოსფერულ პირობებში პატინის აპკს იკეთებს, რის შემდგომ არარავითარ დამცავ დაფარვას აღარ საჭიროებს.

### ნეტავ სად არის კიდევ... რა?

ადამიანთათვის საცხოვრებლად მსოფლიოს უმსხვილეს 108 ყველაზე მოხერხებული ქალაქების ლიდერებად აღიარებულია მელბურნი (ავსტრა-



ლიაძ, მონრეალი (კანადაძ და სიეთლი (აშშძ, „ყველაზე მოუხერხებლად“ კი ლაგოსი (ნიგერიაძ, კინშასა (ზაირიძ და დაკა (ბანგლადეშიძ. ეს დასკვნა გამოიტანეს ამერიკის მოსახლეობის კრიტიკული ზრდის კომიტეტის სპეციალისტებმა. „კომფორტის შკალით“ პოსტსაბჭოთა სივრცის ქალაქებიდან 22-ე ადგილზეა კიევი, 35-ზე მოსკოვი, მე-40-ზე სანქტ-პეტერბურგი, 44-ზე –ტაშკენტი.

### მალდინების და სხვათა „ბიზნესი“

მსახიობებში ოჯახური დინასტიები არავის არ უკვირს. საქვეყნოდ ცნობილია ბერიმორების, ფონდების სამსახიობო დინასტიები, ცნობილი მომღერლისა და კინოვარსკვლავის, „კაბარეს“ გმირის ლაიზა მინელის დედა, ჯუდი გარლანდი, შვილის დაბადებამდე ბროდვეის ვარსკვლავი იყო, ხოლო ლეგენდარული დევიდ გრიფიტის სახელოვანი შთამომავალია ულამაზესი მელანი გრიფიტი.

გარკვეულწილად ასეთივე ვითარებაა სპორტშიც. კიევის დინამოს ცნობილი მცველის სერგეი ბალტაჩას ქალიშვილი ელენე დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელად ითვლება. სიმაღლეში მხტომელის, სახელოვანი სერგეი ბუბკას უმცროსი ვაჟი სერგეიც მეტად პერსპექტიულ ჩოგბურთელადაა მიჩნეული. მალდინების დინასტიაში ფეხბურთი თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც საოჯახო „ბიზნესი“. და რომ არა მემკვიდრეობად მიღებული გენები, განა სხვას ვის უნდა გაეყვანა მოჰამედ ალის ქალიშვილი რინგზე და მსოფლიო ჩემპიონი გაეხადა?

## დღის კალენდარი

### 3 თებერვალი

ხსენება ღირსი მაქსიმე აღმსარებელისა(662); მოწამე ნეოფიტესი (303-305); მოწამე ევგენისა; კანდიდესი, ვალერიანესი და აკვილასი, მოწამე აგნია ქალწულისა (დაახლ.304); მოწამე ანასტასისა (662); ღირსი მაქსიმე ბერძენისა(1556). ღირსისა ზოსიმესი, სირაკუზელი ეპისკოპოსისა; ღირსისა აპოლონ ეგვიპტელისა; ოთხთა ტვირელ მოწამეთა.



ამოდის 07.11
ჩადის 17.19



ამოდის 22.47
ჩადის 09.04

### დაიბადნენ:

1809 – **მენდელსონ-ბართოლდ ფელიქსი,** გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, ორგანისტი და პიანისტი.

1847 – **ალექსანდრ ბელი,** ტელეფონის ერთ-ერთი გამომგონებელი.

1870 – **ბესარიონ ქებურია,** პირველი ქართველი მფრინავი. გარდაიცვალა 1958 წელს.

1874 – **ჰერტრუდა სტაინი,** ამერიკელი მწერალი ქალი.

1915 – **ბორის პაიჭაძე,** ცნობილი ფეხბურთელი.

1935 – **პავლე ჩარკვიანი,** კინორეჟისორი, კინოდრამატურგი.

### გარდაიცვალნენ:

1468 – **იოჰან გუტენბერგი,** წიგნის ბეჭდვის გერმანელი გამომგონებელი.

1924 – **თომას ვუდრო ვილსონი,** აშშ 28-ე პრეზიდენტი, დაიბადა 1856 წელს.

### მოვლენები:

1769 – რუსეთში გამოვიდა პირველი ქაღალდის ფული – ასიგნაციები.

1913 – აშშ კონსტიტუციაში შეიტანეს მე-16 შესწორება, რომლის მიხედვითაც შემოიღეს შემოსავლის დაბეგვრა.

1919 – პარიზში გაიმართა ერთა ლიგის პირველი სხდომა.

1994 – საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ.

მედიანიუსი

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8089 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4398 ლარი |
| 1 ბირ. სტ. | – 2.8924 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– ოჰო, ორმოცდაათ წლამდე გამუდმებით დაგტანჯავთ უფულობის განცდა, ჩემო კარგო, – ეუბნება მკითხავი ახალგაზრდა პაციენტ ქალს.

– მერე?

– მერე მიეჩვევით.

* * *

– მამი, შეიძლება შენი მანქანის გასაღები ავიღო? – ეკითხება მიხო მამას. – მინდა, თანაკლასელებს ვაჩვენო, რომ ათი ათასდოლარიანი მანქანით დავდივარ.



– აი, შენ 50 თეთრი, – ეუბნება მამა, – და იტრაბახე, რომ ოცი ათასდოლარიანი ავტობუსით დადიხარ.

* * *

სტუდენტი აუდიტორიიდან გამოვიდა.

– რა ჰქენი, ჩააბარე? – ეკითხებიან ამხანაგები.

– ჩავაბარე, აბა, რა. ძალიან უნდოდა პროფესორს ჩემი ჩაჭრა, მაგრამ მაინც გამოვცურე.

როდესაც ამ სტუდენტზე მის გამომცდელ პროფესორს ჰკითხეს და მისი ნათქვამიც გადასცეს, მან უპასუხა:

– ნეხვი არ იძირება!

* * *

ბიჭი საყურეებით დაბრუნდა სახლში. მამამ შეხედა და ამბობს:

– თუ კაცი საყურეს ატარებს, იგი ან პირატია, ან – პედერასტი. მე კი ახლომახლო გემს ვერ ვხედავ...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.